www.24saati.ge

24 საათი

© გაზეთი 24 საათი | შაბათი, 7 დეკემბერი, 2013 წელი. | №3424 (231) | ფასი 50 თეთრი

ფანჯიკიძემ მოსკოვი მკაცრად გააკრიტიკა

კიევში, ეუთო-ს მინისტერიალის ფარგლებში, გამართულ ფორუმზე საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ ოკუპირებულ ტერიტორიებზე რუსეთის ქმედებების შესახებ ისაუბრა. **„ახლა, როდესაც მე ვსაუბრობ, მოსკოვი საოკუპაციო ხაზის გასწვრივ მავთულხლართებს ავლებს,“** - მიმართა მან ღონისძიების მონაწილეებს. როგორც ფანჯიკიძე აღნიშნავს, საქართველო ევროპული არჩევანის ერთგულია და მთავრობა რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზების ინიციატივით გამოვიდა. მინისტრის თქმით, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობის აღდგენის პარალელურად, რუსეთმა საქართველოში უკანონო ქმედებები გააქტიურა. **„რუსეთი ოკუპირებულ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ხალხს, ოჯახებს და სოფლებს ერთმანეთს აშორებს,“** - აღნიშნავს მაია ფანჯიკიძე.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი რუსეთის 2008 წლის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებისა და საერთაშორისო სამართლის მიხედვით დაკისრებული ვალდებულებების შესრულებისკენ მოუწოდებს. მაია ფანჯიკიძეის გამოსვლას მისი რუსი კოლეგა სერგეი ლავროვი არ დასწრებია. როგორც ფორუმის შემდეგ ფანჯიკიძემ შენიშნა, მისი გამოსვლის ტექსტი რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის აუცილებლად ცნობილი იქნება. მაია ფანჯიკიძის თქმით, საქართველოს ინტერესში კონფლიქტის მხოლოდ მშვიდობიანი მოგვარება შედის და მთავრობა ამ მიმართულების ერთული რჩება.

კიდევ ერთი თემა, რომელსაც მაია ფანჯიკიძემ ყურადღება დაუთმო, საქართველოში ეუთო-ს მისიის აღდგენის საკითხი იყო.

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ამერიკელებს დეტალური ინფორმაცია აქვთ

ევროპისა და ევრაზიის საკითხებში აშშ-ს სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ ვიქტორია ნულანდმა საქართველოში უმაღლესი თანამდებობის პირებთან გამართული შეხვედრების შემდეგ სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ მედიასთან ისაუბრა.

ამეიკელი დიპლომატის შეფასებით, საქართველომ დიდ პროგრესს მიაღწია, რაც ნატო-ში ინტეგრაციის პროცესზე დადებით გავლენას ახდენს.

გაგრძელება მე-3 გვერდზე

უკრაინის დროშა მერაბიშვილის პროცესზე

ქუთაისის საქალაქო სასამართლოში, ყოფილი პრემიერ-მინისტრის ვანო მერაბიშვილის და ჯანდაცვის ყოფილი მინისტრის ზურაბ ჭიაბერაშვილის სასამართლო სხდომა ათი მოწმის დაკითხვით დასრულდა.

გუშინდელ პროცესზე ვანო მერაბიშვილმა მისი თბილისიდან ქუთაისში ტრანსპორტირების ხარჯები წარადგინა და ხელისუფლებას ბიუჯეტის დაზოგვისკენ მოუწოდა.

გაგრძელება მე-2 გვერდზე

ორხელისუფლებიანობის დასაწყისი უკრაინაში?

ივა შილაკაძე

უკრაინაში საპროტესტო აქციების მონაწილეები ემზადებიან მასობრივი აქციებისთვის კვირის ბოლო უქმე დღეებზე. ოპოზიციამ შეიმუშავა მოქმედების ხუთპუნქტიანი გეგმა, რომლის მონახაზიც მათ ციხიდან გადასცა ექს-პრემიერმა იულია ტიმოშენკომ ადვოკატის მეშვეობით. გრძელდება აქციები დამოუკიდებლობის მოედანზე და სამთავრობო შენობებთან, რომელთა შორის უკვე მეორე დღეა არის „ბერკუტის“ განთავსების შენობები და პროკურატურა.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

1 აშშ დოლარი		1.6643⇓
1 ევრო		2.2110⇓
1 ინგლისური გირვანქა		2.5933⇓
1 თურქული ლირა		0.8622⇓
100 რუსული რუბლი		5.0433⇓
თბილისი		31°C - 20°C
ქუთაისი		33°C - 20°C
ზუგდიდი		32°C - 21°C
ბათუმი		27°C - 21°C
ნავთობი	3.19	+0.00 +0.16%
გაზი	3.58	+0.11 +3.07%
ოქრო	1,743.20	-9.80 -0.56%
ხორბალი	868.50	+12.25 +1.41%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

FM 102.4 საარჩევნო სოციალ-მოთხოვნილი მაუწყებელი

ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121
9 771987 912100 >

მუნდიალის წილისყრა საზეიმოდ შედგა

ბრაზილიის საკურორტო ქალაქ კოსტა დო საუიპეში მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის ჯგუფების წილისყრის საზეიმო ცერემონიალი შედგა. ყველამ თავისი გაარკვია. ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ 2010 წლის სამხრეთ აფრიკის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალისტებს - ესპანეთსა და ჰოლანდიას ბრაზილიაში ერთმანეთში ურთიერთობის გარკვევა ჯგუფური ეტაპის პირველივე ტურში მოუწევთ.

გაგრძელება მე-8 გვერდზე

ბექა გოგიაშვილის ჯარეთოლოგია

თბილისის საბავშვო ბაღებში სათვალთვალო კამერების დამონტაჟება იგეგმება

თბილისის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელ რამაზ სულამანიძის განცხადებით , აღნიშნული საკითხი ჯერ გადაწყვეტილი არ არის, თუმცა სააგენტო ბაღებში უსაფრთხოების მიზნით კამერების დამონტაჟებას აპირებს.

მისივე ინფორმაციით, გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, სათვალთვალო კამერები აღსაზრდელთა ჯგუფებში არ განთავსდება და ძირითადად ბაღის შესასვლელებში, ჰოლსა და სამზარეულოში დამონტაჟდება.

რამაზ სულამანიძის შეფასებით, კამერების ჯგუფებში დამონტაჟება ცუდი არ იქნებოდა, თუმცა ეს ამ ეტაპზე არ განიხილება, რადგან შესაძლოა, ბავშვების უფლებები დაირღვეს.

ამასთან, როგორც ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელმა აღნიშნა, რამდენიმე წელია, რაც თბილისში, რამდენიმე სახელმწიფო ბაღის ადმინისტრაციის ინიციატივითა და მშობლების მოთხოვნით, ზოგიერთ ბაღში კამერები დამონტაჟდა, რასაც სხვა ბაღებიც ითხოვენ. საკითხის განხილვისა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, სათვალთვალო კამერები თბილისის ყველა, 158 ბაღში დამონტაჟდება.

რამაზ სულამანიძე ამ ეტაპზე პროექტის სავარაუდო ღირებულებას ვერ ასახელებს. მისი ინფორმაციით, საბავშვო ბაღებში სათვალთვალო კამერები შესაძლოა, მომავალი წელს დამონტაჟდეს.

უკრაინის დროშა მერაბიშვილის პროცესზე

პირველი გვერდიდან

„საკმაოდ დაფასებული ექსკორტით მოვდივარ და საბადრაგო მანქანის გარდა, 4 „პიკაპი მომყვება. მხოლოდ ჩემი ქუთაისში ტრანსპორტირება 5 ათასი ლარი უჯდება სახელმწიფოს და ამაში არ შედის პროკურორების მივლინებისა და მოწმეების ტრანსპორტირების ხარჯები. ეს არის 60-70 პენსიონერის პენსია და 100-ზე მეტი სოციალურად დაუცველი პირის ხარჯები. ამ ფულით ძალიან ბევრი კეთილი საქმის გაკეთება შეიძლებოდა, მით უმეტეს, ამ ბიუჯეტში, რომელსაც ერთ წელიწადში, მილიარდამდე დეფიციტი დაუგროვა ივანიშვილმა „, - განაცხადა მერაბიშვილმა.

მოგვიანებით მან, პროტესტის ნიშნად, დარბაზი დატოვა. ყოფილი პრემიერის პროტესტი მოწმეთა ჩვენებებმა გამოიწვია. მერაბიშვილის განცხადებით, ის აზრს ვერ ხედავს პროცესებს დაესწროს, რადგან, მისი თქმით, არც ერთი მოწმე მის ბრალეულობაზე არ საუბრობს.

„უნდა წავიდე თბილისში, ცუდი ამინდია და დიდი გზა მაქვს გასავლელი. პროცესზე მოწმეები მაინც ერთსა და იმავეს საუბრობენ,“ - განაცხადა მერაბიშვილმა.

პროცესის დატოვებამდე კი მან სოლიდარობა გამოუცხადა უკრაინელ ხალხს და პატიმრობაში მყოფ იულია ტიმოშენკოს გამძლეობისკენ მოუწოდა.

ყოფილმა პრემიერმა პროცესზე უკრაინის დროშაც ააფრიალა, რასაც დარბაზში ოვაცია მოჰყვა.

„მინდა, სოლიდარობა გამოვუცხადო ჩემს უკრაინელ მეგობრებს. უპირველეს ყოვლისა, ტიმოშენკოს, რომელმაც წლები გაატარა ციხეში, ვუსურვებ მხნეობას. ჩვენ ერთი ბედი გვაქვს და ალბათ ისევ ჩვენ მოგვიწევს ჩვენი ქვეყნების ევროპულ გზაზე წაყვანა,“ - განაცხადა მერაბიშვილმა.

ზურაბ ჭიაბერაშვილის განცხადებით, პროკურატურას ქუთაისის საქალაქო სასამართლოში მოწმეების წარმოდგენა უჭირს, ხოლო თბილისში, პროკურატურაში მოწმეებს „ამუშავებენ“.

„დღეს, ორი მოწმე არ გამოცხადდა. ჩვენ გვახსოვს წინა შემთხვევები, როდესაც აქ მოყვანილი მოწმეები სასამართლოს შენობიდან წავიდნენ,“ - განაცხადა ჭიაბერაშვილმა.

ზურაბ ჭიაბერაშვილისა და ვანო მერაბიშვილის ადვოკატის ოთარ კახიძის თქმით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირების საქმის განხილვით სურთ მერაბიშვილს დისკომფორტი შეუქმნან, რადგან ყოფილი პრემიერი, პროცესის დღეს რვა საათის განმავლობაში გზაში იმყოფება.

„150-მდე მოწმე უკვე დაიკითხა სასამართლოში. არც ერთი მათგანი არ ადასტურებს რაიმე შეხებას მერაბიშვილთან ან ჭიაბერაშვილთან. პროკურატურას უნდა როგორმე გაწელოს მერაბიშვილის პატიმრობაში ყოფნის პროცესი. ამ ტემპით 2017 წლამდე, ალბათ, დავასრულებთ მოწმეთა დაკითხვას,“ - განაცხადა კახიძემ.

ვანო მერაბიშვილის და ზურაბ ჭიაბერაშვილის სასამართლო პროცესი ქუთაისის საქალაქო სასამართლოში 12 დეკემბერს განახლდება.

შეგახსენებთ, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლო ვანო მერაბიშვილისა და ზურაბ ჭიაბერაშვილის წინააღმდეგ „დასაქმების პროგრამის“ საქმეს განიხილავს.

თვითმმართველობის კოდექსის საპარლამენტო განხილვა გადაიდო

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები 2014 წლის ივნისში გაიმართება. თვითმმართველობის არჩევნებისთვის განსაზღვრული თვე მთავრობის კანცელარიის რეგიონებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსმა ირაკლი მელაშვილმა დაასახელა.
ირაკლი მელაშვილმა თვითმმართველობის რეფორმაზე ისაუბრა და ამ მიმართულებით მომზადებულ საკანონმდებლო პაკეტთან დაკავშირებულ კრიტიკულ მოსაზრებებზე განმარტებები კიდევ ერთხელ გააკეთა.

მელაშვილი ეჭვობს, რომ პატრიარქს თვითმმართველობის კოდექსის პროექტი წაკითხული ვერ ექნებოდა და აცხადებს, რომ თვითმმართველობის კოდექსთან დაკავშირებით საპატრიარქოსთან კონსულტაციები იგეგმება.

„პატრიარქს აქვს სრული უფლება, რომ თავისი შეფასებები გააკეთოს. მთავარია მას სრული ინფორმაცია მიაწოდონ იმაზე, თუ რა ხდება. მაქვს ეჭვი, რომ თავად პატრიარქს ეს 120 გვერდიანი დოკუმენტი წაკითხული ვერ ექნებოდა. ვინ მოამზადა დასკვნა, ამაზე ვერაფერს ვიტყვი. ვიცი ის, რომ საპატრიარქოსთან იქნება კონსულტაციები,“ - აღნიშნა მელაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ თვითმმართველობის კოდექსის პროექტზე რამდენიმე დღის წინ ისაუბრა და აღნიშნა, რომ თუ ეს კანონი განხორციელდა, ეს საქართველოს დაშლა იქნება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პატრიარქს პრემიერი ირაკლი ღარიბაშვილი და პარლამენტის თავმჯოდმარე დავით უსუფაშვილი შეხვდნენ.

უსუფაშვილის განცხადებით, ილია მეორესთან შეხვედრისას, მათი საუბრის თემა თვითმმართველობის რეფორმა და ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის პროექტი არ ყოფილა.

„დაემთხვა, რომ იმ დღეს, როცა დანიშნული იყო პატრიარქთან შეხვედრა, თვითმმართველობის საკითხზე პატრიარქის პოზიცია გასაჯაროვდა. მინდა სრული პასუხისმგებლობით გითხრათ, რომ აღნიშნულ თემაზე მის უწმინდესობას ჩემთვის არაფერი უთქვამს და მეც არაფერი მითქვამს, რადგან არ ვიცოდი, მისი ასეთი წუხილის თაობაზე,“ - განუცხადა ჟურნალისტებს დავით უსუფაშვილმა.

მისივე თქმით, ძალიან მალე თვითმმართველობასთან დაკავშირებული ყველა საკითხი იქნება გარკვეული.

„თუ ვინმე იმგვარად წარმოაჩენს ვითარებას, რომ თვითმმართველობის შემოღებით ქვეყნის ერთიანობას საფრთხე ექმნება, სრულიად ბუნებრივია ამით მისი უწმინდესობის შეშფოთება და შეწუხება. მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ყველა, მათ შორის მისი უწმინდესობაც, დაინახავს, რომ აქ მსგავს არაფერზეა საუბარი. ჩვენ მაქსიმალური კონსენსუსის გზით წავალთ დემოკრატიზაციისკენ, თავისუფლებისაკენ და ქვეყნის განვითარებისაკენ,“ - აღნიშნა პარლამენტის თავმჯდომარემ.

უსუფაშვილის განმარტებით, თვითმმართველობების გაძლიერება არა თუ დაასუსტებს სახელმწიფოს, არამედ პირიქით, ხელს შეუწყობს მის გაძლიერებას.

თვითმმართველობის კოდექსთან დაკავშირებით, პარლამენტში საკომიტეტო მოსმენები 10 დეკემბერს გაიმართება. დოკუმენტში რეფორმის ავტორებმა საპატრიარქოში შეხვედრის შემდეგ გარკვეული კორექტივები შეიტანეს. თუმცა, კონკრეტულად, რა შესწორებებია შესული დოკუმენტში, ჯერჯერობით უცნობია. კოდექსთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა უმრავლესობაში და დოკუმენტთან ირგვლივ შეკითხვები აქვს საპარლამენტო უმცირესობასაც. არასაპარლამენტო ოპოზიცია თვითმმართველობის რეფორმასთან დაკავშირებით, ინტერპარტიული ჯგუფის შექმნას ითხოვს.

„ბოლო შიდა კოალიციური შეხვედრა თვითმმართველობის კოდექსთან დაკავშირებით სამიოდე დღის წინ, პრემიერ მინისტრთან გაიმართა. 4-5 საათის განმავლობაში განვიხილეთ ყველა საკითხი, რომელიც ამა თუ იმ წრეების მხრიდან დაისვა. კოალიცია შეჯერებულია ერთიან პოზიციაზე, რაც საკომიტეტო განხილვებისას გახდება ცხადი,“ - განაცხადა დავით უსუფაშვილმა.

პარლამენტი თავმჯდომარის თქმით, კანონპროექტის გარშემო ატეხილი ერთგვარი აჟიოტაჟი და გამოხატული შიშები გასაგებია.

„საქართველო ყოველთვის იყო ცენტრალიზებული. კომუნისტების დროს და პოსტკომუნისტურ პერიოდშიც ქვეყანა იყო სუპერცენტრალიზებული. ამიტომ სრულიად გასაგებია, რომ ადამიანებს გაუჩნდათ გარკვეული შიშები, შეძლებენ თუ არა ჩვენი თანამოქალაქეები საკუთარ რაიონებსა და ქალაქებში საკუთარი პრობლემების და საკითხების მოგვარებას. თუ ჩვენ ამ შიშებს ავყვებით, უნდა შევეგუოთ იმასაც, რომ გავაგრძელებთ ცხოვრებას ავტორიტარიზმის პირობებში, როდესაც თბილისში წყდება ის, სოფელს სჭირდება სკოლა, სასაფლაო თუ ბაღი. ამ საკითხის მიმართ არის საოცარი დამოკიდებულება - თურმე ჩვენ ყველანი ერთად შევძლებთ ავირჩიოთ ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტი, პარლამენტი და აქ არ შეგვეშლება, მაგრამ იგივე ჩვენ ვერ ავირჩევთ და შეგვეშლება ჩვენი ქალაქის მერის არჩევისას და ამით ქვეყანას დავაქცევთ. ამ ლოგიკას არ და ვერ ავყვებით,“ - განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ.

პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელიას განცხადებით, თვითმმართველობის შეთავაზებული პროექტი არის საინტერესო და მასში ბევრი საყურადღებო, მნიშვნელოვანი, წინგადადგმული, პროგრესული ხედვაა.

როგორც ბესელიამ აღნიშნა, მას მოსწონს ჯანსაღი პროცესი და დისკუსია, რომელიც აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით საზოგადოებაში დაიწყო. მისივე ინფორმაციით, გუნდის შიგნით არის ბევრი საინტერესო მოსაზრება, კითხვა, პოზიცია და განსხვავებული წინადადება კოდექსთან დაკავშირებით.

ეკა ბესელიას თქმით, თვითმმართველობის კანონპროექტთან დაკავშირებით არავითარი რეგლამენტი არ ირღვევა.

რაც შეეხება საკითხთან დაკავშირებით საქართველოს პატრიარქის განცხადებას, ეკა ბესელიას, პატრიარქის პოზიცია როგორც ამ, ასევე სხვა ნებისმიერ საკითხზე ძალიან მნიშვნელოვნად მიაჩნია.

მისივე ინფორმაციით, ვიდრე პატრიარქი კოდექსთან დაკავშირებით განცხადებას გააკეთებდა, გუნდის შიგნითაც იყო დაწყებული დისკუსია და წინა დღეს იყო შიდა შეთანხმება, რომ გარკვეული ნორმები შეიცვლებოდა.

მისივე თქმით, კანონპროექტში არსებულ იმ საკითხებზე, რომლებიც იწვევს სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას და იმ ნორმებზე, რომლებიც იკითხება სხვადასხვაგვარი შინაარსით, საჭიროა მეტი დისკუსია, მეტი განმარტება და მეტი სიცხადის შეტანა.

როგორც ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარემ აღნიშნა, პროექტში გარკვეული ცვლილებები შევა.

ამასთან, ეკა ბესელიას ინფორმაციით, შესაძლოა, რეფორმა რამდენიმე ადგილას პილოტურად განხორციელდეს.

„ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერის გიორგი ვაშაძის შეფასებით, არსებული კოდექსის შემოღება რაიონში მცხოვრებ მოსახლეობას „გააწამებს“.

„რაიონების დაშლა - რასაც აპირებენ - იქნება აბსოლუტური კატასტროფა მენეჯმენტისთვის და თითოეული მოქალაქის გაწამება იმ რაიონებში და იმ სოფლებში, სადაც ისინი ცხოვრობენ. აი, ამაზე უნდა ვიმსჯელოთ. მარტო იმაში ხომ არ არის საქმე, კანონში რას დავწერთ? მნიშვნელოვანია, როგორ იმოქმედებს, როგორ იმუშავებს ეს ყველაფერი და როგორ იქნება მოქალაქეზე ორიენტირებული,“ - განაცხადა გიორგი ვაშაძემ.

არასაპარლამენტო ოპოზიციაში მიიჩნევენ, რომ პროექტი განხილულ უნდა იქნას ინტერპარტიული ჯგუფის მიერ საერთაშორისო ორგანიზაციის შუამავლობით, რეფორმის მთლიან კონცეფციასთან ერთად, შემდეგ კი საერთაშორისო ექსპერტიზისთვის გაეგზავნოს ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიას. მანამდე კი, პარტიების აზრით, საპარლამენტო განხილვა უნდა შეჩერდეს;.

არასაპარლამეტო ოპოზიცია ასევე მიიჩნევს, რომ რეგიონულ დონეზე არ უნდა შეიქმნას არჩევითი ორგანოები - არც წარმომადგენლობითი და არც აღმასრულებელი; ნებისმიერი ცვლილება ქვეყნის ტერიტორიული მოწყობაში უნდა აისახოს კონსტიტუციაში; მუნიციპალიტეტების საზღვრები და ადმინისტრაციული ცენტრები დადგინდეს კანონით; ახალი თვითმმართველი ქალაქების შექმნა მოხდეს ახალი (რაიონული) მუნიციპალიტეტების შექმნასთან ერთად.

განცხადებას ხელს აწერენ: ახალი მემარჯვენეები, დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველო, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, თავისუფალი საქართველო, ევროპელი დემოკრატები, ლეიბორისტული პარტია, ქალთა პარტია, ქართულიდასი, ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა და ქრისტიან-დემოკრატიული სახალხო პარტია.

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარის, კახა კოჟორიძის აზრით, თვითმმართველობის კოდექსის პროექტის ივნისისთვის მიღება და მის საფუძველზე არჩევნების ამ პერიოდში ჩატარება რთული იქნება.

მისი განცხადებით, თვითმმართველობის პროექტი მოცულობითია და ის ბევრი საკითხის გადაჭრას მოითხოვს.

„რთული იქნება, რომ ჩვენ ივნისამდე მივიღოთ ახალი კანონი და უკვე მის საფუძველზე განხორციელდეს ახალი თვითმმართველობის არჩევნები. პროექტი საკმაოდ მოცულობითია. ბევრი საკითხია გადასაწყვეტი. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ ეს რთული იქნება, მით უმეტეს, როცა ვამბობთ, რომ კანონპროექტმა უნდა გაიაროს საერთაშორისო ექსპერტიზა, ამას სჭირდება დრო,“ - განაცხადა კახა კოჟორიძემ.

„საიას“ თავმჯდომარე ადგილობივი თვითმმართველობის რეფორმის განხორციელებას აუცილებლად მიიჩნევს, თუმცა ფიქრობს, რომ აღნიშნულს სერიოზული მუშაობა სჭირდება.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მკპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: ირმა ჯიშკარიანი, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 45, 14-ე სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

ფანჯიკიძემ მოსკოვი მკაცრად გააკრიტიკა

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

„ადამიანის უფლებების კუთხით ვითარების გაუარესების პრევენციის და ჰუმანიტარული კრიზისის მოგვარების მიზნით, ოკუპირებულ რეგიონებში ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო მექანიზმი ეფექტურად უნდა აღვადგინოთ. მივესალმებით, რა ეუთო-ს ჩართულობას, მისი როლის უფრო მეტად გაზრდა მნიშვნელოვნად მიგვაჩნია. ეუთო-ს სრულფასოვანი და ყოვლისმომცველი წარმომადგენლობის აღსადგენად მუშაობა და ძალისხმევა უნდა გავაორმაგოთ. მას ოკუპირებულ ტერიტორიებზე მშვიდობისმყოფელთა და პოლიციის მანდატი ექნება,“ - თქვა მაია ფანჯიკიძემ.

კიევში მყოფი საპარლამენტო უმცირესობის წევრი გიგი წერეთელი, რომელიც

ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის ვიცე-პრეზიდნეტია, აღნიშნავს, რომ საგარეო საქმეთა მინისტრის გამოსვლაში ტრადიციულად მნიშვნელოვანი თემები იყო წამოწეული. **„გამოსვლა ოკუპაციის საკითხებს, მავთულხლართებს და ეუთო-ს მისიის აღდგენას ეხებოდა. თუმცა, ეს განცხადებაა და მთავარი კი ის არის, ასეთი ტიპის განცხადებებს რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს,“** - ამბობს წერეთელი.

კიევის მინისტერიალის შემდეგ ეუთო-ს პრეზიდენტი ქვეყნის სტატუსს ორი წლის განმავლობაში შვეიცარია და სერბეთი გაინაწილებენ. შვეიცარიის წარმომადგენლები იმედს გამოთქვამენ, რომ შვეიცარიის პრეზიდენტობის განმავლობაში ინსტრუმენტები, რომელიც ეუთო-ს აქვს, ყველა განზომილებით უფრო ქმედითი გახდება. როგორც ფანჯიკიძე აღნიშნავს, საქართველოში ეუთო-ს მისიის აღდგენა შვეიცარიისთვის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, ისევე, როგორც საქართველოში ვითარების გაუმჯობესება. გარდა ამისა, მინისტრის თქმით, ეუთო ჟენევის მოლაპარაკებების თანათავმჯდომარეა და ეს ფორმატიც ერთ-ერთი საშუალება იქნება იმისა, რომ ეუთო-მ აქტიური როლი შეასრულოს.

კიევში, აგრეთვე სამუშაო საღილი გაიმართა, სადაც, როგორც მაია ფანჯიკიძე შენიშნავს, ვიწრო წრეში მნიშვნელოვანი საკითხები იყო განხილული. ამასთან, მინისტერიალის ფარგლებში ფანჯიკიძეს შეხვედრები ეუთო-ს ფაქტობრივად ყველა დანაყოფთან, მათ შორის საპარლამენტო ასამბლეასთანაც ჰქონდა.

თავად მინისტერიალის შედეგებით კი ქართული მხარე უკმაყოფილოა. საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, რუსეთის არაკონსტრუქციული პოზიციის გამო საქართველოში არსებული კონფლიქტის შესახებ ეუთო-ს განცხადების მიღება ვერ მოხერხდა. ამასთან, ეუთო-ს მინისტრთა საბჭომ ვერც პოლიტიკური დეკლარაცია მიიღო, რადგან რუსეთის ფედერაციამ ამავე მოტივით დოკუმენტს მხარი არ დაუჭირა.

საკუთარი ინფორმაცია

ამერიკელებს დეტალური ინფორმაცია აქვთ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

როგორც ნულანდი აღნიშნავს, სექტემბერში (უელსში ნატო-ს სამიტზე) საქართველოს მდგომარეობა შეფასდება, თუმცა ალიანსის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად მუშაობა უნდა გაგრძელდეს. **„ავღანეთში მიმდინარე საერთაშორისო ოპერაციაში საქართველოს როლით და ქართველი სამხედროების განსაკუთრებული სიმამაცით ვამაყობ,“** - დასძენს ნულანდი.

აშშ საქართველოს მხარდაჭერას ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლისა და თავისუფალი ვაჭრობის საკითხებზეც უცხადებს. ვიქტორია ნულანდის თქმით, ეს თემები საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრაზე განიხილეს და საქართველოს შეუძლია, აშშ-ს მხარდაჭერაში დარწმუნებული იყოს.

რაც შეეხება რუსეთის ზეწოლის შემთხვევაში აშშ-ს დახმარების მექანიზმებს, როგორც ნულანდი აცხადებს, შეერთებული შტატები საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას მხარს მტკიცედ უჭერს. მისივე თქმით, ვაშინგტონი ასევე მონაწილეობს

ჟენევის დისკუსიებში და რუსეთს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისკენ მუდმივად მოუწოდებს. ნულანდი აღნიშნავს, რომ ამერიკული მხარე საქართველოს ტერიტორიაზე ბარიერების აღმართვისა და რუსეთის ჯარების ყოფნის შესახებ მუდმივად საუბრობს. **„საქართველოს საკითხი რუსეთის ლიდერებთან შეხვედრებისას ყოველთვის განიხილება. ჩვენი გზავნილი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერაა. ამავდროულად, რუსეთსა და საქართველოს შორის სათანადო ურთიერთობების ხილვა გვინდა, რაც ძალიან საშიშ საკითხებს - ოკუპაციას და ბარიერების აღმართვის პრობლემას მოაგვარებდა,“** - ამბობს ნულანდი.

ვიქტორია ნულანდის აზრით, მნიშვნელოვანია ისიც, რომ საქართველომ აფხაზ და ოს ხალხს ხმა მიაწვდინოს, რათა დემოკრატიულ განვითარებაში ისინიც ჩაერთონ. **„აფხაზებმა და ოსებმა უნდა გაიგონ, რომ საქართველო ევროპის გზას სთავაზობს, რადგან ისინიც საქართველოში ცხოვრობენ. საქართველოს მოსახლეობა კი იმსახურებს, ევროპის ნაწილინ იყოს,“** - აღნიშნა ნულანდმა.

დემოკრატიული პროცესების შესახებ საუბრისას ნულანდმა ყურადღება

წარმატებულად ჩატარებულ არჩევნებსა და ხელისუფლების მშვიდობიანად გადაცემაზე გაამახვილა. **„ჩემთვის დემოკრატიულ საქართველოში ყოფნა სასიამოვნოა,“** - შენიშნავს ნულანდი.

სახელმწიფო მდივნის თანაშემწეს პირველი ოფიციალური შეხვედრა საქართველოს პრეზიდნეტ გიორგი მარგველაშვილთან ჰქონდა. მარგველაშვილის თქმით, საუბარი უაღრესად საინტერესო იყო და 2014 წლის გეგმებს და ქართულ-ამერიკულ საზოგადოებებს შორის ურთიერთობების გაღრმავებას ეხებოდა. როგორც მარგველაშვილი ამბობს, სუბრის თემა ასევე იყო აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის ქარტია, რომელიც ბევრ შესაძლებლობასა და ფორმატს იძლევა. **„ბუნებრივია, ეს საკითხები მომავალი ვიზიტების დაგეგმვის კონტექსტში განიხილებოდა,“** - აღნიშნავს პრეზიდნეტი.

ვიქტორია ნულანდმა კი მოგვიანებით აღნიშნა, რომ საქართველოს ხელისუფლების პირველი პირების აშშ-ში ვიზიტის თარიღების შესახებ პრემიერ-მინისტრთან შეხვედრაზე ისაუბრეს. **„აშშ-ში საქართველოს ახალ ლიდერებთან მისალმებას ვეღით,“** - თქვა ნულანდმა.

სახელმწიფო მდივნის თანაშემწე განსაკუთრებით კმაყოფილი პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილთან და საპარლამენტო უმცირესობის ლიდერ დავით ბაქრაძესთან ერთობლივად გამართული შეხვედრით დარჩა. **„შესანიშნავი შეხვედრა იყო, რაც საქართველოში ერთიანობის მზარდ დინამიკას ადასტურებს,“** - ამბობს ნულანდი.

მოგვიანებით ნულანდი დავით ბაქრაძეს კიდევ ერთხელ, თანაპარტიელებთან - გიგა ბოკერიასა და ზურაბ ჯაფარიძეს ერთად შეხვდა. როგორც ბაქრაძე აღნიშნავს,

საუბარი ყველა მნიშვნელოვან თემას, მათ შორის, რა თქმა უნდა, ოკუპაციას ეხებოდა. ამასთან, ბაქრაძის თქმით, შეხვედრაზე რუსეთის მავთულხლართების პოლიტიკა განიხილეს. **„მთელი რიგი ნაბიჯების შესახებ შევთანხმდით, მათ შორის საერთაშორისო ძალისხმევის ერთობლივად მიმართვის შესაძლებლობებზე. ხოლო, ქვეყნის შიგნით, აფხაზ და ოს ძმებთან ნაყოფიერი თანამშრომლობის საკითხები განვიხილეთ,“** - აღნიშნავს დავით ბაქრაძე.

ვიზიტის ფარგლებში ვიქტორია ნულანდი ასევე შეხვდა საქართველოს თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიას. **„თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებულ ძალებში მიმდინარე რეფორმები და ამ პროცესში ამერიკელთა თანამონაწილეობის საკითხები განვიხილეთ. ვისაუბრეთ ავღანეთში ერთობლივი ოპერაციებისა და 2014 წლის შემდეგ მისი გაგრძელების შესახებ. გარდა ამისა, ნატო-ში საქართველოს ინტეგრაციის თემას შევეხეთ. მომავალ წელს ნატო-ს სამიტია დაგეგმილი და ვიქტორია ნულანდმა კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ აშშ ალიანსში საქართველოს გაწევრიანებას მხარს უჭერს,“** - აღნიშნავს ირაკლი ალასანია.

იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანთან შეხვედრაზე კი სასამართლოსა და პროკურატურის რეფორმის პროცესში აშშ-ს სამართლებრივი დახმარების გააგრძელების შესახებ იმსჯელეს.

ვიქტორია ნულანდმა პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილთან ერთად სიმბოლური დატვირთვის მქონე ღონისძიებაშიც მიიღო მონაწილეობა. მათ მთავრობის კანცელარიის ცენტრალურ შესასვლელთან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის განკუთვნილი პანდუსი გახსნეს. **„დღეიდან ჩვენი თანამოქალაქეებისთვის მთავრობასთან კომუნიკაცია გაცილებით ადვილი იქნება. მინდა აღვნიშნო, რომ 5 დეკემბერს მთავრობის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით, 5 წლის განმავლობაში ჩვენი ქვეყნის ყველა საჯარო დაწესებულებაში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ადაპტაციისათვის შესაბამისი პირობები შეიქმნება. მათ გადაადგილებისა და კომუნიკაციის პრობლემა აღარ ექნებათ,“** - აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა სიტყვით გამოსვლისას.

ვიქტორია ნულანდმა კმაყოფილება გამოთქვა იმ პროგრესის გამო, რასაც საქართველომ ბოლო წლების განმავლობაში მიაღწია. **„აშშ-ს მთავრობა ამაყობს იმით, რომ მხარს უჭერს საქართველოში კერძო და საჯარო სექტორის ძალისხმევას, რომ ხელი შეუწყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებისთვის ფიზიკური და ეკონომიკური ბარიერების გადალახვას. ვერ წარმომიდგენია, რა უნდა იყოს უფრო მეტი სიმბოლო საქართველოს მთავრობის მიერ საკუთარი მოქალაქეების მიმართ გამოხატული, ვიდრე ეს პანდუსი, რომელსაც დღეს ვხსნით,“** - თქვა ნულანდმა.

ვიქტორია ნულანდმა საქართველოს შეიარაღებულ ძალებს აისაფ-ის მისიაში სამსახურისთვის მადლობა გადაუხადა. **„მხარდამხარ ვდგავართ, რომ უზრუნველვყოთ ის საჭიროებები, რომლებიც ქართველ ჯარისკაცებს აქვთ. პირადად მქონდა პატივი, ავღანეთში ქართველ ჯარისკაცებს ვწვეოდი და შემიძლია დავადასტურო ის გმირობა, რომელსაც ისინი იჩენენ. აშშ საქართველოს დაჭრილ მეომრებზე ზრუნვაში მხარს უჭერს,“** - აღნიშნავს სახელმწიფო მდივნის თანაშემწე.

ღარიბაშვილისა და ნულანდის მიმართვის შემდეგ, მთავრობის კანცელარიის წინ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მონაწილეობით „ფლეშმობი“ გაიმართა.

ნულანდი ერთდღიანი ვიზიტის ფარგლებში ასევე შეხვდა სამოქალაქო სექტორის წამომადგენლებს. „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ აღმასრულებელი დირექტორის ეკა გიგაურის თქმით, განხილვის თემა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ გამოკვეთილი პოზიტიური და ნეგატიური ასპექტები იყო. **„აღვნიშნე, რომ პარლამენტის როლი გაიზარდა და მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანაში დაბალანსებული სისტემა არსებობს. ასევე, ვისაუბრეთ იმის შესახებ, რომ მედიის თავისუფლების კუთხითაც პროგრესი შეინიშნება,** - ამბობს გიგაური, - **რაც შეეხება პრობლემატიკას, ამ კუთხით უმცირესობის უფლებების დაცვის საკითხები განვიხილეთ. ამ მიმართულებით ხელისუფლება უფრო ეფექტური უნდა იყოს. ამასთან, ყურადღება სამართალდამცავი უწყებების ეფექტური მონიტორინგის მექანიზმები შექმნის საკითხებზე გავამახვილეთ.“**

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარის კახა კოჟორიძის შეფასებით, შეერთებულ შტატებში, როგორც პოზიტიურ ცვლილებებს, ასევე ქვეყანაში არსებულ გამოწვევებს კარგად ხედავენ, დეტალური ინფორმაცია აქვთ.

საკუთარი ინფორმაცია

ევრომაიდანზე დღეს მიხეილ სააკაშვილს ელოდებიან

საქართველოს ექსპრეზიდენტი, მიხეილ სააკაშვილი კიევში, ევროინტეგრაციის მხარდასაჭერ აქციაზე ჩასვლას დღეს გეგმავს. ამის შესახებ ინფორმაციას უკვე ოფიციალურად ადასტურებს მთავარი ოპოზიციური პარტია „УДАР“-ის წევრი მარია იონოვაც.

„შეიძლება ოფიციალურადაც ითქვას, რომ ხვალ ევრომაიდანს საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი შეუერთდება და უკრაინელ ხალხსა და უკრაინის ევროპულ მომავალს მხარდაჭერას გამოუცხადებს,“ - განაცხადა გუშინ იონოვამ.

ცნობილია, რომ მიხეილ სააკაშვილი უკრაინის ექსპრეზიდენტ ვიქტორ იუშენკოს აგარაკზე დაბინავდება.

სააკაშვილი ევრომაიდანზე „ევროპის სახალხო პარტიის“ დეპუტატ იაცენკა სარიუშ-ვოლსკისთან ერთად მივა. ასევე, ევრომაიდანის მონაწილეებს ევროპარლამენტის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე ელმარ ბროკიც შეუერთდება.

დევნილებს ზამთრის სეზონისთვის 200-ლარიანი დახმარება გადაეცემათ

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში, „გამოზამთრების პროგრამის“ ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულების პრეზენტაცია გაიმართა.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო, დევნილთა 2013-2014 წლების ზამთრის სეზონში სათბობი საშუალებით (ელექტროენერგია, ბუნებრივი აირი) უზრუნველყოფისათვის, სამინისტროს ასიგნებებიდან 4 700 000 ლარს მიმართავს. ამ განკარგულებით გათვალისწინებული ღონისძიებები განხორციელდება სამინისტროსა და სს „ლიბერთი ბანკს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

„ჩვენ, „ლიბერთი ბანკთან“ ერთად, განვახორციელეთ ზამთრის პერიოდისათვის აქცია იმ დევნილი ოჯახებისათვის, რომელთა რეიტინგული მაჩვენებელი 70 001 ქულაზე ნაკლებია. ასეთი ოჯახების რაოდენობა არის 23 000-ზე მეტი. ჩვენ მათ ზამთრის პერიოდისათვის მოხმარებული ელექტროენერგიისა და ბუნებრივი აირის საფასურის დასაფარად გადავცემთ 200-ლარიან ბარათს. მთლიანად ამ პროექტის ღირებულება არის 5 მილიონამდე ლარი. მინდა დევნილებს ვამცნო, რომ მათ, მთელი ქვეყნის მასშტაბით, შეუძლიათ ეს ბარათები „ლიბერთი ბანკის“ ოფისებში მიიღონ. ბანკის ხელმძღვანელობას მინდა გადავუხადო დიდი მადლობა ამ აქციაში მონაწილეობისათვის და მხარდაჭერისათვის, რადგან მათ კომერციული ინტერესის გარეშე, მინიმალურ ფასად, თითქმის 100-ჯერ უფრო იაფად დაგვიმზადეს ეს ბარათები, რომლებსაც დაურიგებენ დევნილებს. ვფიქრობ, რომ ამით დევნილებს, ზამთრის პერიოდის უფრო იოლად გადასატანად ექნებათ მხარდაჭერა“, - განაცხადა მინისტრმა დავით დარახველიძემ.

განკარგულების პროექტი დევნილთა 2013-2014 წლების ზამთრის სეზონში სათბობი საშუალებით უზრუნველყოფის ღონისძიებათა განხორციელებას ეხება. კერძოდ, სათბობი საშუალებებით უზრუნველყოფილ იქნებიან ის დევნილი ოჯახები, რომლებიც საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში არიან რეგისტრირებული და მათი სარეიტინგო ქულა არის 70 001-ზე ნაკლები.

„ფორბსის“ რეიტინგში - „საუკეთესო ქვეყნები ბიზნესისათვის“ საქართველომ 50-ე ადგილი დაიკავა

ჟურნალ „ფორბსის“ რეიტინგში - „საუკეთესო ქვეყნები ბიზნესისათვის“ (Best Countries for Business) საქართველომ 50-ე ადგილი დაიკავა. რეიტინგი 145 ქვეყანას მოიცავს. მათ შორის

რუსეთი 91-ე ადგილს, აზერბაიჯანი - 67-ე ადგილს, ხოლო სომხეთი - 64-ე ადგილს იკავებენ. რეიტინგის პირველ ათეულს ირლანდია, ახალი ზელანდია, ჰონგ-კონგი, დანია, შვედეთი, ფინეთი, სინგაპური, კანადა, ნორვეგია და ნიდერლანდები იკავებენ.

როგორც გავლენიანი გამოცემა წერს, საქართველომ წარსულში პრობლემური ელექტროენერგიის დეფიციტი ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციითა და ენერგომატარებლების იმპორტის რუსეთიდან აზერბაიჯანზე გადატანით აღმოფხვრა.

„საქართველოს ძირითადი ეკონომიკური საქმიანობა მოიცავს სოფლის მეურნეობის პროდუქტების მოყვანას როგორიცაა ყურძენი, ციტრუსი და თხილი; მანგანეზის, სპილენძისა და ოქროს მოპოვებას; და ალკოჰოლური და არაალკოჰოლური სასმელების, მეტალის, დანადგარებისა და ქიმიკატების მცირე ინდუსტრიული სექტორის წარმოებას. ქვეყანა მისთვის საჭირო ბუნებრივი აირსა და საწვავის თითქმის მთლიანად იმპორტირებას ახორციელებს, თუმცა სერიოზული ჰიდროენერგეტიკული პოტენციალი გააჩნია, რის შედეგადაც ელექტროენერგიაზე მოთხოვნას თითქმის სრულად აკმაყოფილებს. საქართველომ წარსულში პრობლემური ელექტროენერგიის დეფიციტი ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციითა და ენერგომატარებლების იმპორტის რუსეთიდან აზერბაიჯანზე გადატანით აღმოფხვრა. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი, ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენის და ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობა საქართველოს სტრატეგიული დანიშნულების გაძლიერების სტრატეგიის ნაწილია, რომლის საშუალებითაც ევროპასა და აზიას შორის ამ ქვეყანას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება გაზის, საწვავისა და სხვა პროდუქტების ტრანზიტის თვალსაზრისით“, - წერს „ფორბსი“.

გარდა ამისა, გამოცემის ინფორმაციით, საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა 2006-2007 წლებში 10%-იან ზრდას აღწევდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების უხვი რაოდენობის გამო. თუმცა, აღნიშნული ზრდა შენელდა 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ რუსეთთან.

„ეკონომიკამ გაჯანსაღება 2010-12 ნლებში შეძლო როცა 4%-იანი ზრდიდან 6%-მდე ავიდა, მაგრამ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, რაც საქართველოს ეკონომიკისათვის ლოკომოტივის როლს ასრულებს, ომამდე დაფიქსირებულ რაოდენობას აღარ დაბრუნებია. ქვეყანაში უმუშევრობის მაჩვენებელიც მაღალია - 15%-ზე მეტი. ქვეყანა იმედებს თავის ლიბერალური ეკონომიკის კურსის შენარჩუნების, რეგულაციების, გადასახადებისა და კორუფციის შემცირების გზით მეტი ინვესტიციების მოზიდვაზე ამყარებს ჰიდროენერგეტიკის, სოფლის მეურნეობის, ტურიზმისა და ტექსტილის წარმოების დარგებში“, - დასძენს გამოცემა.

ირანის სანქციების თაობაზე ამერიკა ისრაელს ამშვიდებს

ამერიკის სახელმწიფო მდივანი ჯონ კერი ხუთშაბათს ისრაელში ქვეყნის პრემიერ-მინისტრს ბენიამინ ნეთანიაჰუს შეხვდა. კერიმ განაცხადა, რომ ირანსა და ე.წ „ექვსეულს“ შორის მიღწეული შეთანხმების მიუხედავად, ირანის მიმართ დაწესებული მთავარი სანქციები კვლავ ძალაში დარჩება. 24 ნოემბერს ჟენევაში მსოფლიოს წამყვანმა ქვეყნებმა ირანთან ბირთვულ შეთანხმებას მიაღწიეს, რომლის თანახმადაც ბირთვულ პროგრამაზე მუშაობის შეწყვეტის სანაცვლოდ ირანს მკაცრი ეკონომიკური სანქციები შეუმსუბუქდება. ამ გადაწყვეტილებას კი ისრაელმა „ისტორიული შეცდომა“ უწოდა. „ნავთობთან და ბანკებთან დაკავშირებული ფუნდამენტური სანქციები კვლავ ძალაში რჩება. ესენი არ შეცვლილა,“ - აღნიშნა ჯონ კერიმ.

ამერიკელი ექსპერტები: ჩრდილოეთ კორეა ბირთვულ პროგრამას აძლიერებს

ჩრდილოეთ კორეა იონბიონის ბირთვულ ობიექტზე სამუშაოებს აგრძელებს -სააგენტო „რენხაპი“ ამის შესახებ ამერიკელ ექსპერტებზე დაყრდნობით იუწყება. მეცნიერებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების ინსტიტუტის მოხსენებაში საუბარია, რომ არსებული ნიშნებით ბირთვულ ცენტრში სამუშაოები გრძელდება, ასევე მიმდინარეობს ახალი ობიექტების მშენებლობაც. ორშაბათს გადაღებულ ფოტოებზე ჩანს, რომ კომპლექსიდან კვამლი ადის. ვაშინგტონში მდებარე ინსტიტუტის ექსპერტების მოხსენებაში საუბარია, რომ რეაქტორი სამუშაო მდგომარეობაში იმყოფება: „ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ქარხანა უკვე აწარმოებს „ურანის საწვავს.“ ოქტომბერში სამხრეთ კორეის სადაზვერვო სამსახურმა დაადასტურა, რომ იონბიონის რეაქტორზე, რომელიც ფხენიანის ჩრდილოეთით 90 კმ-ში მდებარეობს, სამუშაოები აგვისტოში განახლდა.

ამერიკა: რუს დიპლომატებს თაღლითობაში ადანაშაულებენ

ნიუ-იორკის ფედერალურმა პროკურატურამ საბრალდებო დოკუმენტი გამოაქვეყნა, რომელშიც 25 რუსი მოქმედი და ყოფილი დიპლომატი მეუღლეებთან ერთად ფიგურირებს. ეს პირები მაქინაციების საშუალებით უფასო სამედიცინო მომსახურების სისტემით (Medicaid) უკანონოდ სარგებლობდნენ. ცოტა ხნის წინ გამართულ პრესკონფერენციაზე პროკურორმა პრიტ ბჰარარამ აღნიშნა, რომ ვინაიდან ამ პირებს დიპლომატიური იმუნიტეტი იცავთ, არცერთი მათგანი არ დაუპატიმრებიათ. მისი თქმით, ამ შემთხვევაში ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი იმ ქვეყანას, რომელმაც დიპლომატები გამოაგზავნა, მათთვის ხელშეუხებლობის მოხსნას სთხოვს. უარის შემთხვევაში, ბრალდებულებს ამერიკიდან გააძევებენ.

პროკურორის განცხადებით, ბრალდებულებს შორის არიან გაეროში რუსეთის ფედერაციის მისიის, ნიუ-იორკში მდებარე რუსეთის საკონსულოს, ასევე სავაჭრო წარმომადგენლობის თანამშრომლები. გამოძიება არ გავრცელებულა ვაშინგტონში რუსეთის საელჩოში მომუშავე პირებზე. Medicaid-ს პროგრამა იმ ამერიკელთა დასახმარებლად შეიქმნა, რომელთა ოჯახის შემოსავალი თვეში 3052 დოლარს არ აღემატება.

იემენში მომხდარ თავდასხმაზე პასუხისმგებლობა „ალ ქაიდამ“ აიღო

გუშინწინ იემენში თავდაცვის სამინისტროზე განხორციელებულ თავდასხმაზე, პასუხისმგებლობა „ალ-ქაიდამ“ აიღო. ამ ინციდენტს გუშინდელი მონაცემებით უკვე რასაც 50 ადამიანზე მეტი ემსხვერპლა. ხუთშაბათს დედაქალაქ სანაში თავდაცვის სამინისიტროს შესასვლელთან დანაღმული მანქანა აფეთქდა. შემდეგ კი ტერორისტტა მოზრდილი, სულ ცოტა 30 კაციანი ჯგუფი თავდაცვის სამინისტროში შეიჭრა გავრცელებული ინფორმაციით, დაღუპულებს შორის ორი უცხოელი ექიმი და მოქმედი პრეზიდენტის ნათესავი არიან.

მოამზადა თამთა კახაძემ

ევროპის ჩრდილოეთში უძლიერესი შტორმი მძვინვარებს

ივა შილაკაძე

უძლიერესმა შტორმმა, რომელსაც „ქსავიერი“ უწოდეს, ევროპის ჩრდილოეთ ნაწილს შეუტია. გუშინ საღამოს არსებული ინფორმაციით რამდენიმე ქვეყანაში უკვე დაღუპულია 7 ადამიანი. არიან უკვალოდ დაკარგულებიც.

გრიგალი გრენლანდიის მხრიდან წამოვიდა და ჯერ თავს დაატყდა შოტლანდიას და ინგლისის ნაწილს. შემდეგ გადმოინაცვლა კონტინენტური ევროპისკენ და გავრცელდა ნიდერლანდების, ბელგიის, დანიისა შვედეთისა და ნაწილობრივ ნორვეგიის ტერიტორიებზე, ასევე გერმანიის და პოლონეთის ჩრდილოეთ ნაწილში. დღეისთვის ქარიშხალს წესით უკვე უნდა მიეღწია რუსეთის დასავლეთ ნაწილამდე, კერძოდ კალინინგრადის ოლქამდე. პარასკევ საღამოს და შაბათ დილას იყო „ქსავიერის“ სიძლიერის პიკი. ქარის სიჩქარე ზოგ ადგილებში საათში 228 კილომეტრს აღწევდა. მეტეოროლოგების შეფასებით ეს შტორმი შეიძლება გახდეს ყველაზე დამანგრეველი ბოლო წლებში. მას ადარებენ 1962 წელს დაფიქსირებულ უძლიერეს შტორმს, რომელმაც მხოლოდ გერმანიაში 315 კაცი შეიწირა.

დაღუპულია ორი ბრიტანელი, სამი პოლონელი, ერთი დანიელი და ერთიც შვედი. შვედეთის სანაპიროდან 22 კილომეტრში გემიდან ზღვაში გადავარდა ორი მეზღვაური, რომლებიც მაშველებმა ვერ იპოვეს.

ქარიშხალმა ბევრგან დაწყვიტა ელექტროგადამცემი ხაზები, წაქცია ხეები, სახლებს გადახადა სახურავები, გადააბრუნა ავტომანქანები. სანაპირო ზოლში ბევრგან გამოიწვია წყალდიდობა და დატბორვა. მხოლოდ დიდ ბრიტანეთში ელექტროენერგიის გარეშე დარჩა 100 ათასზე მეტი სახლი, აქედან 80 ათასი შოტლანდიაში. მსგავსი სიტუაციაა კონტინენტური ევროპის სახელმწიფოებშიც. ბრიტანეთში დატბორვის საშიშროების გამო სახლების დატოვებისკენ მოუწოდეს 15 ათას ადამიანს. საბოლოოდ ევაკუირებულია 10 ათასი კაცი. შტორმისგან გამოწვეული ტალღები ძალიან მაღალი იყო და მათმა სიმაღლემ შეიძლება გადააჭარბოს 60 წლის წინანდელ რეკორდს.

წყალდიდობების თავიდან ასაცილებლად ლონდონში დაიკეტა მდინარე ტემზის სპეციალური ბარიერი და მიღებულ იქნა უსაფრთხოების სხვა ზომებიც. ნიდერლანებში პირველად ბოლო ექვსი წლის განმავლობაში დაკეტეს მდინარე შელდტის ბარიერი. გერმანულ ჰამბურგში მაშველები და სპეციალური სამსახურები წინასწარ მოემზადნენ ქარიშხლის დასახვედრად, მაგრამ სანაპიროზე რამდენიმე ადგილი მაინც დაიტბორა და წყლის დონე იქ იმაზე 4 მეტრით მაღალია, ვიდრე საშუალოდ არის ხოლმე წყალდიდობების დროს.

„ქსავიერის“ შიშით გადაიდო ათობით ავიარეისი შოტლანდიაში, ნიდერლანდებში, შვედეთში, ბელგიაში და გერმანიაშიც. შოტლანდიაში მთლიანად შეწყდა სარკინიგზო მიმოსვლა, შეფერხებები იყო ინგლისშიც და კონტინენტური ევროპის სახელმწიფობშიც. დაიკეტა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გრძელი, სარკინიგზო და საავტომობილო ხიდი, რომელიც ერთმანეთთან შვედეთს და დანიას აერთებს.

გარდაიცვალა ნელსონ მანდელა

ივა შილაკაძე

ხუთშაბათს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში 96 წლის ასაკში გარდაიცვალა აპარტეიდთან ლეგენდარული მებრძოლი, ქვეყნის პირველი შავკანიანი პრეზიდენტი, ნობელის პრემიის ლაურეატი ნელსონ მანდელა.

ქვეყნის მოქმედმა პრეზიდენტმა ჯეიკობ ზუმამ მას ერის მამა უწოდა. მისი სიტყვებით მანდელა ყველაზე მეტად, ვიდრე ვინმე სხვა, იყო სამხრეთ აფრიკის ერთიანობის სიმბოლო. მის დაკრძალვამდე ქვეყანაში ყველა დროშა დაშვებული იქნება და მანდელას დაკრძალავენ სახელმწიფო პატივით, ისე როგორც ერის მამას ეკუთვნის.

ბოლო წლებში მანდელა მძიმედ ავადმყოფობდა. პნევმონიის გართულების გამო ის ზაფხულში რამდენიმე თვე იწვა რეანიმაციაში და საავადმყოფოდან სახლში სექტემბერში გაუშვეს, სადაც ასევე იმყოფებოდა მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ. მანდელას გარდაცვალების შესახებ ცნობის გავრცელებისთანავე მის სახლთან იოჰანესბურგში შეიკრიბა უამრავი ხალხი. ეს ადამიანები კანის ფერის მიუხედავად ძალიან დამწუხრებულები არიან იმ ადამიანის სიკვდილით, რომელსაც გამათავისუფლებელს უწოდებენ. იქ ბევრი მივიდა ბავშვებთან ერთად.

მანდელას, როგორც აფრიკის ეროვნული კონგრესის ერთ-ერთ ლიდერს და შავკანიანთა უფლებებისსთვის მებრძოლს 1964 წელს მიუსაჯეს პატიმრობა და ის ციხიდან გაათავისუფლეს მხოლოდ 1990 წელს. ის ისევ გახდა აფრიკის ეროვნული კონგრესის ლიდერი. ხელისუფლებასთან მოლაპარაკებების შემდეგ ქვეყანაში დაინიშნა საყოველთაო არჩევნები, რომლებშიც შავკანიანებიც თავისუფლად დაუშვეს. 1993 წელს მანდელას მიენიჭა ნობელის პრემია სამხრეთ აფრიკის მაშინდელ პრეზიდენტთან ფრედერიკ დე კლერკთან ერთად. 1994 წელს კი მანდელამ გამანადგურებელი უპირატესობით მოიგო საპრეზიდენტო არჩევნები. მან მეორე ვადით აღარ იყარა კენჭი, ხოლო 2004 წელს საზოგადოებრივ ცხოვრებას ფაქტობრივად ჩამოშორდა.

მას ახასიათებდა ადამიანური მიმზიდველობა, იუმორის კარგი გრძნობა და საკუთარ თავზე ხუმრობის უნარი, ასევე შეეძლო მიეტევებინა იმათთვის, ვინც მას სასტიკად ეპყრობოდა. ეს ყველაფერი და ასევე მისი ცხოვრების მთელი ისტორია ხსნის იმ ნამდვილად საყოველთაო სიყვარულს და პატივისცემას, რითიც სარგებლობდა მანდელა. სამხრეთ აფრიკის მოქმედი პრეზიდენტი უკვე იღებს უამრავ სამძიმრის დეპეშას კოლეგებისგან მანდელას გარდაცვალების გამო. მის სიკვდილს გამოეხმაურნენ მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების ლიდერები და სხვა გავლენიანი პოლიტიკოსები, მათ შორის ბარაკ ობამა, ბან კი მუნი, დევიდ კამერონი, ჯორჯ ბუში უმცროსი და სხვები.

ამერიკის პირველმა და მოქმედმა შავკანიანმა პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ განაცხადა, რომ ნელსონ მანდელამ „ცხოვრებაში მიაღწია იმაზე მეტს, ვიდრე შეიძლება ველოდოთ ნებისმიერი სხვა ადამიანისგან მან თავისი თავისუფლება შესწირა ხალხის თავისუფლებას.“ აშშ-ის პრეზიდენტმა დასძინა, რომ არ შეუძლია წარმოიდგინოს საკუთარი ცხოვრება იმ მაგალითის გარეშე, რაც მას მისცა მანდელამ.

ორხელისუფლებიანობის დასაწყისი უკრაინაში?

პირველი გვერდიდან

ოპოზიცია კიევში მმართველობის პარალელური სტრუქტურების შექმნას იწყებს. უკრაინის მთავრობამ მთლიანად შეწყვიტა ევროკავშირთან ხელშეკრულებებისთვის მზადება, პრეზიდენტმა იანუკოვიჩმა კი ჩინეთიდან დაბრუნებისას გზად პუტინთან შეიარა მოკლე სამუშაო ვიზიტით სოჭში.

უკრაინაში გუშინ დამთავრდა პრეზიდენტ იანუკოვიჩისთვის წაყენებული ულტიმატუმის ვადა, რომლის თანახმადაც მისგან მოითხოვდნენ მთავრობის გადაყენებას და რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნების თარიღის გამოცხადებას. თუმცა ოპოზიცია ჯერ რაიმე აქტიურ მოქმედებებზე არ გადასულა. ჩვეულებრივად გრძელდება აქციები დამოუკიდებლობის მოედანზე, სადაც მანიფესტანტებს რამდენიმე მიმდებარე შენობაც აქვთ დაკავებული, ასევე მთავრობის შენობასთან და უკრაინის უმაღლეს რადასთან. მიტინგზე გუშინ საღამოს ხალხმა უკვე დაიწო მატება და შაბათ-კვირას სავარაუდოდ ისევ ბევრი ხალხი გამოვა ქუჩაში. გუშინ მიტინგზე პარტია „უდარის“ ლიდერმა ვიტალი კლიჩკომ გამოაცხადა, რომ წინა შაბათის დარბევის შემდეგ კვლავ დაკარგულია 14 კაცი. დამოუკიდებლობის მოედანზე უკვე დიდი სტაციონარული კარვები დადგეს, რომელშიც გათბობაც არის.

დაახლოებით 1000 ადამიანი მწოლიარე საპროტესტო აქციას აწყობს პროკურატურასთან და მოითხოვს აქციების დროს დაკავებული აქტივისტების გაშვებას. პიკეტები მოეწყო პოლიციის სპეცრაზმ „ბერკუტის“ შტაბბინასთან და მათ საერთო საცხოვრებელთანაც. შტაბბინის კარი დაგმანული იყო, ხოლო საერთო საცხოვრებლიდან მოპიკეტეებს კვერცხები დაუშინეს და შეურაცხმყოფელი შეძახილებითაც „შეამკეს“. დემონსტრანტთა ორი კოლონა დაიძრა პრეზიდენტის ადმინისტრაციის შენობის სხვადასხვა შესასვლელებისკენ თუმცა მათ გზა გადაუღობეს ფარებით შეიარაღებულმა სამართალდამცავებმა. კოლონის თავში მიმავალ მანქანაში იმყოფებოდა რადას დეპუტატი „ბატკივშჩინადან“, რომელმაც ხალხს მოუწოდა არ შეხებოდნენ პოლიციელებს და არ დაერღვიათ მსვლელობის მშვიდობიანი ხასიათი. მისი სიტყვებით მათ წინ იდგნენ შინაგანი ჯარების წარმომადგენლები და არა „ბერკუტი“. „ისინიც ჩვენაირი მოქალაქეები არიან“ - აუხსნა დემონსტრანტებს დეპუტატმა. მილიციის კორდონიდან ასიოდე მეტრში შეჩერდა მეორე კოლონაც.

იულია ტიმოშენკომ ოპოზიციის ლიდერებს ჯერ კიდევ ხუთშაბათ საღამოს გადასცა მოქმედების ხუთპუნქტიანი გეგმა, რომელიც ჯერ არ გამოქვეყნებულა, ხოლო ქუჩაში გამოსულ ხალხს კი მოუწოდა არ იმოქმედონ ოპოზიციის ლიდერებთან კოორდინციის გარეშე. ტიმოშენკომ დასავლეთს მოუწოდა იანუკოვიჩის წინააღმდეგ სანქციების შემოღებისკენ, რადგან მას მხოლოდ ეს ენა ესმის.

უკრაინის რადაში გუშინ კვლავ არ გაიმართა სხდომა. ოპოზიციამ ტრადიციული „ბლოკირების“ საშუალებით უმრავლესობას ამის საშუალება არ მისცა. პარლამენტში გუშინ სხვადასხვა ფრაქციების ლიდერებთან მოსალაპარაკებლად იმყოფებოდნენ ევროკავშირის ელჩი უკრაინაში იან ტომბინსკი და ევროკავშირის წარმომადგენელი ერიკა შმიოდტი. თუმცა მათ უარყვეს, რომ მხარეებს შორის საშუამავლო ფუნქციის შესრულებას აპირებენ. სესიის დარბაზში შევიდა სპიკერი ვლადიმირ რიბაკიც, რომელმაც ჯერ უმრავლესობასთან მოითათბირა, შემდეგ კი ოპოზიციასთან მივიდა, თუმცა ამ უკანასკნელებმა ის პრეზიდიუმის მაგიდასთან არ მიუშვეს. ამის შემდეგ არსენი იაცენიუკმა ხმამაღლა იყვირა ისე, რომ პრესის ლოჟაშიც გაეგონათ: „პარლამენტის თავმჯდომარე ხალხის მხარეზე გადმოვიდა!“

გუშინ გაიმართა მთავრობის სხდომა, რომელზეც მინისტრებმა ერთხმად თქვეს უარი ევროკავშირთან ხელშეკრულებების ხელმონერისთვის მზადებაზე. ეს ალბათ იმასაც ნიშნავს, რომ დეკემბრის ბოლოს ბრიუსელში დელეგაცია აღარ გაემგზავრება, როგორც ეს ანონსირებული იყო. პრეზიდენტმა იანუკოვიჩმა კი ჩინეთიდან სახლისკენ გზაზე პუტინთან სოჭში შეიარა. პრეზიდენტებმა ორმხრივი ურთიერთობის აქტუალური საკითხები განიხილეს. როგორც ჩანს, უკრაინის ხელისუფლებამ კრემლისგან რაღაც გარანტიები მიიღო.

ამის შემდეგ „მაიდანზე“ ხალხის წინაშე გამოსულმა იაცენიუკმა იანუკოვიჩი გააფრთხილა, რომ არც იფიქროს საბაჟო კავშირში შესვლაზე ან ამ გაერთიანებასთან დაახლოებაზე, წინაღმდეგ შემთხვევაში სულ სხვა მასშტაბის საპროტესტო გამოსვლებს მიიღებს. მან აგრეთვე თავთავრობისგან მოითხოვა საერთაშორისო საავალუტო ფონდთან გამჭვირვალე მოლაპარაკებების დაწყება უკრაინისთვის კრედიტის გამოსაყოფად, რომ ქვეყანა დეფოლტის წინაშე არ აღმოჩნდეს.

„თავისუფლების“ ლიდერმა ოლეგ ტიაგნიბოკმა კი გამოაცხადა, რომ ოპოზიცია იწყებს კიევში პარალელური მმართველობის სტრუქტურების შექმნას და ეს საკითხი ხალხს მიტინგზევე „შეუთანხმა“. უკვე შექმნილია თვითმმართველობის საზოგადოებრივი კომიტეტი, რომელიც კიევში სიტუაცია გააკონტროლებს. ეს ფაქტობრივად მერიის ფუნქციების საკუთარ თავზე აღებას ნიშნავს. საინიციატივო ჯგუფში თითო დეპუტატია „ბატკივშჩინადან“, „უდარიდან“ და „თავისუფლებიდან“.

პარალელური სტრუქტურების შექმნა სერიოზული საფრთხის მატარებელია. ამან შეიძლება მხარეებს შორის კომპრომისის მოძებნა გაართულოს. არ არის გამორიცული ხელისუფლების მხრიდან არაადეკვატურად აგრესიული მოქმედებებიც. თუმცა ეს შეიძლება იყოს ოპოზიციის ერთ მუშტად შეკვრისკენ გადადგმული წარმატებული ნაბიჯიც.

ბექა გოჩიაშვილის ჯარეთოლოგია

ია მერკვილაძე,
ნიუ იორკი, აშშ

ჩიკ კორეასთან ერთად

ქართველ ჯაზ-მუსიკოსს ბექა გოჩიაშვილს „კლავიშის ვუნდერკინდს“ უწოდებენ ისეთი ცნობილი ჯაზ ვარსკვლავები, როგორებიც არიან ჰერბი ჰენკოკი, უეინ შორტერი, ედი გომეზი, გერი პიკოკი და სხვები. ბექას ტალანტს და შემოქმედებას ოცი გრემის მფლობელი ჩიკ კორეა განსაკუთრებულად აფასებს და მას „ქვეყნის საუკეთესო ელჩად“ მოიხსენიებს.

ცნობილი კრიტიკოსი, ბილ მილკოვსკი, ჯგუფ Beka & Logic Project-ს თამამად ათავსებს იმავე დონეზე, რომელზეც არიან ფიუჟენის ჟანრის ლეგენდარული ჯგუფები Return To Forever, Weather Report და Headhunter, რომელთა შემქმნელები შესაბამისად არიან ჩიკ კორეა, ჯო ზავინული და ჰერბი ჰენკოკი. ალბომი Chillin' in Batumi-ის მოსმენის შემდეგ, მისი აზრით „ფიუჟენს ბოლო 40 წლის მანძილზე არ ჰქონია ასეთი ვირტუოზული და ინტელექტუალური ჟღერადობა და არ ყოფილა ასე პოზიტიურად დამუხტული“.

ჯგუფს, Beka and Logic Project-ს ჯერ კიდევ 2011 წელს ბათუმში გამართულ შავი ზღვის ფესტივალზე ჩაეყარა საფუძველი. მაშინ 15 წლის ბექა გოჩიაშვილმა თავისი მუსიკოსები საქართველოში ჩაიყვანა, ის ახალგაზრდები, რომლებიც ამერიკაში „ჯემ სეშინზე“ გაიცნო; ისინი, რომლებსაც თავად „მომავალ, პოტენციურ ლეგენდებს“ უწოდებს.

- ჩემი ახლობლების, ნონა და გია შენგელაიების (მათ მე ჩემს მეორე ოჯახს ვუწოდებ) რჩევით ჯაზ კლუბ Creole -ში, სადაც ყოველ სამშაბათს ჯემ სეშინები ეწყობოდა, სიარული დავიწყე და ასე გავიცანი ის მუსიკოსები, რომლებთან ერთადაცაც შემდგომში შავი ზღვის ფესტივალზე წასვლა გადავწყვიტე. ასე ჩამოყალიბდა ჩვენი კვინტეტი. - ამბობს ბექა. - ბათუმშივე გავიცანი დი ჯეი ლოჯიკი და ჩვენ ერთობლივად მუშაობის იდეაც დაგვებადა. იქ იყო როი ჰარგროუს ძალიან მაგარი კვინტეტი, რომელსაც ჰყავდა ვოკალისტი რენე ნიუფილი და სწორედ მაშინ მივიღე პირველი დიდი სტიმული და შთაგონება იმისა, რომ ბენდი აუცილებლად უნდა ჩამომეყალიბებინა. არადა იმ დროს, ასე ვთქვათ - მუსიკალურად სხვაგან ვიყავი. თუმცაღა გეგმაში მსგავსი რამ სულ მქონდა. 2012-ში საქართელოში ჩავიყვანე ჩემი მეორე კვინტეტი: ვიქტორ ბეილი (იგი ჯაკო პასტორიუსის ტრაგიკული სიკვდილის შემდეგ მისი შემცვლელი იყო ბას-გიტარაზე ჯო ზავინულის ბენდში Weather Report), ლენი უაითი (ჩიკ კორეასთან და მაილს დევისთან დასარტყამ ინსტრუმენტებზე უკრავდა), ლიონელ ლოუეკე (ჰერბი ჰენკოკის გიტარისტი) და საქსოფონისტი ჯალილ შო ჩემი ბენდის მუდმივი წევრი...

როცა ბათუმში, Take Five -ში ჯემ სეშინებზე მე და დიჯეი ლოჯიქმა თავის ბენდთან ერთად დავუკარით, სწორედ მაშინ გადავწყვიტეთ (ბუნებრივია, გია და ნონა შენგელაიებიც დაგვეხმარნენ), რომ უფრო სერიოზულად უნდა მივდგომოდით ამ საქმეს და დისკი ჩაგვეწერა. და ასე დაიბადა Beka & Logic Project. ამიტომაც 2011 და 2012 წლები ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის. აქვე აუცილებლად მინდა აღვნიშნო ამ პროექტის განხორციელებაში შეტანილი წვლილისთვის „ისტერნ პრომოუშენი“ და საქართველოს კულტურის მაშინდელი მინისტრი ნიკა რურუა.

- რა გაგრძელება მოჰყვა Take Five-ში დაბადებულ იდეას?

- გია შენგელაიას შუამდგომლობით გავიცანი გიორგი რამიშვილი, კომპანია სილქროუდ გრუპის და სიქნეტის მფლობელი, რომლის რეკომენდაციით კომპანია სილქნეტი ფინანსურად დამიდგა გვერდში. ამგვარად, წელს გაზაფხულზე შევქმენი ჯგუფი, Beka & Logic Project და ჩავეწერეთ ალბომი, Chillin' in Batumi, რომლის საპრეზენტაციო კონცერტი ამავე კომპანიის მხარდაჭერით გაიმართება 10 დეკემბერს თბილისში, რუსთაველის თეატრის დიდ სცენაზე.

ჯგუფი Beka & Logic Project-ში მე ვუკრავ აკუსტიკურ როიალსა და ელექტრო-პიანინოზე, ბენდის წევრები კი არიან მსოფლიოში სახელგანთქმული და ჯაზის საუკეთესოდ აღიარებულ ფესტივალებში (მათ შორის საქართველოში) რეგულარულად მონაწილე მუსიკოსები - დიჯეი ლოჯიქი (ელექტრონული მაგიდა და მიქსერი), ჯეიმს ჰარტი (ელექტრო-პიანინო), ლამონტ მაკეინი (ელექტრობას გიტარა), ჯალილ შო (ალტოსაქსოფონი), ჯასტინ ტაისონი (დასარტყამი ინსტრუმენტები) და ჯაზის და ჰიპ-ჰოპის საუკეთესო ათ ვოკალისტთა რიცხვში შემავალი მუსიკოსი, რენე ნიუფილი. ალბომის პროდიუსერები არიან გიორგი რამიშვილი და გია შენგელაია. მისი ჩაწერის ტექნიკური მხარე უზრუნველყო გრემის მფლობელმა ინჟინერმა, პაბლო არაიამ. ალბომის ფოტო- გაფორმებაში მონაწილეობა მიიღო უინტონ მარსალისის და ჩიკ კორეას ფოტოგრაფმა, ერნესტ გრეგორიმ. ხოლო მის მხატვრულ გაფორმებაში, მხატვრის რეკომენდირებაში, მასალის (ალბომის ყუთი და ქაღალდი) შერჩევაში და ჟღერადობის დახვეწაში ჩვენ კონსულტაცია გაგვიწია ცნობილმა ჯაზ-აფისიონადომ და საქართველოში ჯაზის პრომოტირებაში უდიდესი წვლილის შემტანმა, ნიკა რურუამ.

კონცერტს კი Chillin' in Batumi იმიტომ დავარქვით, რომ პროექტის მონაწილეები, ასე ვქვათ, ბათუმში გაცნობილი ხალხია. მათ იციან ვინ არიან ქართველები, მოსწონთ და ისინიც დარწმუნდნენ იმაში, რასაც ადრე ვამბობდი: ქართველი მსმენელი ძალიან სერიოზული მსმენელია.

- რამდენადაც ვიცი სხვა პროექტიც გაქვს - თამაზ ყურაშვილთან და ჯასტინ ტაისონთან ერთად.

- თამაზ ყურაშვილი ადამიანია, რომელიც, ფაქტობრივად, წარმოადგენს მუსიკოსების სამ თაობას და რაც მთავარია, ჩვენ მუსიკის ერთ სადგურზე ვდგავართ, რადგანაც მთავარი ჩვენთვის არის მუსიკა... თამაზი 7 წელია ჩემი მეგობარი და მასწავლებელია - მარტში ინგლისში კონცერტს ვგეგმავთ. თუმცა, ჩემს მუსიკალურად ჩამოყალიბებაში მთავარი ადამიანი მაინც ზურა რამიშვილია, რომელმაც გამზარდა, როგორც მუსიკოსი და ყველაფერი კარგი რაც მაქვს, მისგან ვისწავლე. ამჟამად იგი თბილისში ცხოვრობს და ახლაც თუ რაიმე მჭირდება, ისევ მას ვეკითხები, რადგანაც სწავლის სურვილი ულიმიტოა.

- ჯაზისადმი ჩვენს დამოკიდებულების ილუსტრაციაც ისიც ხომ არაა, რომ საქართველოში ამ ადამიანს არ იცნობენ?

- მაშინ ჯაზი არ იყო ასე პოპულარული და ადამიანები მას სერიოზულად არ უდგებოდნენ. შეიძლება უბრალოდ არასწორი დრო იყო. არადა ზურა არავისზე ნაკლები მუსიკოსი არაა.

- ბექა, საკუთარი კომპოზიციების გამოცემას ხომ არ აპირებ?

- 9 წლის ასაკიდან მუსიკას ვწერ და, საბედნიეროდ, მუზა არ მიქრება. რამდენი კარგი ადამიანი ჩნდება ჩემს ცხოვრებაში, იქნება ეს მეგობარი, ლექტორი, მენტორი თუ უბრალოდ ადამიანებათან კარგი ურთიერთობის დაბადება, მინდა მათდამი დამოკიდებულება მუსიკით გამოვხატო და, შესაბამისად, ამიტომაც არც მუზა მიქრება. ჩემი სადებიუტო ალბომი, Beka Gochiashvili, შეიცავს ჩემს 7 კომპოზიციას, ხოლო მეორე ალბომში, Chillin' in Batumi, რომელიც ამავდროულად ჩემი ახლადშექმნილი ბენდის, Beka & Logic Project-ის პირველი ალბომია, ათივე კომპოზიცია ჩემია.

- აპირებ სწავლის გაგრძელებას?

- ამჟამად „პრე-კოლეჯში“ ვსწავლობ, ვარ 17 წლის და ჯულიარდის კოლეჯამდე 1 წელი დამრჩა. ფაქტობრივად, შეიძლება ითქვას, რომ ეს ფაკულტეტიც ჩემს გამო შეიქმნა და ჯერ -ჯერობით, როგორც ვიცი, ერთადერთი სტუდენტი ვარ. თუმცა არა ვარ დარწმუნებული, გავარგძელებ თუ არა სწავლას ჯულიარდში. ახლა კი ვსწავლობ ჯაზ ფორტეპიანოსა და კლასიკური ფორტეპიანოს ფაკულტეტზე და პარალელურად სხვა ჩვეულებრივ საგნებს ონლაინ ვეუფლები, რასაც აქ Home Schooling -ს უწოდებენ.

- როგორ ათავსებ?

- რა თქმა უნდა, სხვა საგნები მეორეხარისხოვანია არაა და ისინი ზოგადი განთლებისთვის აუცილებელია, მაგრამ მათ, ბუნებრივია, ცოტა დროს ვუთმობ და ყველაზე მეტს - მუსიკას. შემუშავებულია ისეთი სპეცპროგრამა, რომ მეტი დრო მუსიკას დავუთმო და გამოცდაც ონლაინ ჩავაბარო. სხვაგვარად ვერაფერს მოვასწრებდი. მხოლოდ დაკვრით ხომ არა ვარ დაკავებული: როცა ვამბობ, რომ მთელი დღე მუსიკის ქვეშ ვარ, ვგულისმობ იმას, რომ მოსმენებზე, კონცერტებზე დავდივარ და კომპოზიციებს ვწერ. ესაა ჩემი ცხოვრება - მუსიკა. მაქსიმალურად ვცდილობ, რომ რაც შემიძლია მეტი ვისწავლო. ჩემი ლექტორები კი არაინ გამოჩენილი მუსიკოსები: ფრენკ კიმბრო ჯულიარდში, ხოლო ფრედ ჰერშისა და დანილო პერეზისაგან კერძო კლასებს პერიოდულად ვიღებ.

- შეიძლება ვინმეს გაუჩნდეს აზრი, რომ ჯაზი მუსიკის ისეთი სფეროა, როცა ვირტუოზი ხარ, რაღა უნდა ისწავლო?

- სწავლის პროცესი ტვინს ავითარებს და ის, რასაც სწავლობ დიდად მოგწონს თუ არა, გამოცდილებას გმატებს და საქმისადმი შენს დამოკიდებულებას აყალიბებს. აი, მაგალითად, წარმოიდგინეთ, რომ ალბომში ხუთი ნახატია... და ეს მეხუთე, ასე ვთქვათ, უკანასკნელი ნახატი გამოდის. თუმცა, რაღაც მომენტში იგი უვე მეხუთე არაა, არამედ რიგითია. ჩნდება მეათე ნახატი და რაღაც პერიოდის შემდეგ ისიც რიგითია. ასეა სწავლის პროცესიც. ვერასოდეს დაასრულებ. და როცა ადამიანი ამბობს, რომ უკვე მორჩა სწავლას, ეს საკუთარი თავის უიმედობაზე მიუთითებს. არადა მთავარია საკუთარი თავის იმედი გქონდეს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. როცა სწავლის მოტივაცია გიქრება, არ იმსახურებ იყო ისეთი, როგორიც გინდა ყოფილიყავი. შეიძლება ათჯერ წაიკითხო ერთი და იგივე წიგნი და ათჯერვე ახალი რამ აღმოაჩინო მასში. ცოდნის მიღება ამოუწურავი პროცესია. ასე მგონია, რომ საქართველოში სტუდენტებს სწავლის ეშინიათ. არადა სწავლას უნდა ემეგობრო და თუ ამას ნაძალადევად გააკეთებ, ეს ფორმლაურ - კომპიუტერული სწავლა იქნება და დროის უქმად კარგვა.

- არაერთ სამუსიკო სასწავლებელში ბითლოლოგიის კურსს კითხულობენ და პროფესურა ამ საგანს სრული სეიოზულობით ასწავლის. შენი ნება რომ იყოს, ჯაზის ფაკულტეტზე რა საგანს შემოიღებდი?

- ქით ჯარეთის! ჯარეთოლოგიას! ვფიქრობ, რომ ამერიკაშიც არ იციან ჯეროვნად თუ ვინაა ჯარეთი. გარდა იმისა, რომ იგი ბიპ ბოპის გენიოსია, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჯაზის სფეროში იგი ბახის, ბეთჰოვენისა და მოცარტის გვერდით დგას. მან თავისი იმპროვიზაციებით მუსიკა უკვდავი გახადა. ჩემი ნება რომ იყოს, ჯარეთის ბგერის ფაკულტეტსაც კი გავხსნიდი. და თუ ვერ ავხსნით მის ბგერას, მაშინ მის ბგერას უბრალოდ უნდა გავუგოთ. ჯერ კი იმით დავიწყებდი, რომ ვასწავლიდი, თუ რატომ არ უნდა მიაქციონ ყურადღება დაკვრის დროს მის ფეხზე წამოდგომასა და ხმებს, რომელსაც იგი დაკვრის დროს გამოსცემს... და ვასწავლიდი რას უნდა მიაქციონ ყურადღება. ამავე დროს დიდ ყურადღებას მივაქცევდი კლასიკური მუსიკის შესწავლას და ზოგადადაც: ის, ვისაც უნდა ჯაზს დაეუფლოს, მუსიკის საძირკველი -კლასიკური განათლებაც უნდა ჰქონდეს.

- ცოტა რთული წარმოსადგენია ჯაზის თეორია - სოლფეჯიო...

- შეიძლება ითქვას, რომ არც მე ვგიჟდები სოლფეჯიოზე, მაგრამ ვსწავლობ. მათ შორის, იმპროვიზაციის თეორიას. ჯაზი არის თავისუფლება რაღაც ფარგლებს შიგნით. ეს ფარგლები კი შემდეგია: აუცილებელად მოსმენილი უნდა გქონდეს ჩარლი პარკერი და სვინგი. ჯაზი სვინგის გარეშე არ არსებობს. გასწავლიან რას და ვის უნდა მოუსმინო. ვინ რითი ჰგავს სხვას, რა განსხვავება აქვთ და ა.შ. ჯაზს თავისი თეორია აქვს, რომელიც აუცილებლად უნდა იცოდე... ჯერ უნდა მოისმინო, მოგეწონოს და მერე შეარჩიო შენი სტილი. მაგრამ ჯარეთი მაინც სხვა კატეგორიაა, იგი სულ სხვა გალაქტიკაშია და სხვადასხვა ჯარეთებს მოიცავს.

- ბუნებრივია, ჯაზმენები ერთმანეთის გავლენის ქვეშ ექცევიან და ძალიანაც ეტყობათ.

- რასაკვირელია. მაგრამ უნდა განვასხვავოთ გავლენა და მიმნგვანება. აუცილებლად უნდა გეტყობოდეს ვინმეს გავლენა, ამას ჯაზში ვერსად გაექცევი. ჯარეთის სტილი ძალიან განსაკუთრებულია და თან ისეთია, რომ ყველასაგან გავარჩევ. ერთი თაობის მუსიკოსებს ძალიან ეტყობათ წინამორბედისა და ერთმანეთის გავლენა. მე, ბუნებრივია, ჯარეთის გავლენის ქვეშ ვარ. თავიდანვე მისი გავლენის ქვეშ ვიყავი... და ზურა რამიშვილის. მე მის ფაკულტეტსაც გავხსნიდი. ჯარეთის და რამიშვილის.

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130026889

შემსყიდველი	ახმეტის მუნიციპალიტეტის საბავშო ბაღების ცენტრი
ტენდერის გამოცხადების თარიღი	06.12.2013 14:17
წინადადებების მიღება იწყება	10.12.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	12.12.2013 12:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	140 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	03200000-ბურღულეული, კარტოფილი, ბოსტნეული, ხილი და თხილეული
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	03200000-ბურღულეული, კარტოფილი, ბოსტნეული, ხილი და თხილეული, 03222240-მანდარინი
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხილეთ ტექნიკური დოკუმენტაცია
მოწოდების ვადა	2013 წლის 25 დეკემბერი
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	2 ლარი
გარანტიის ოდენობა	1 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130026726

შემსყიდველი	შსს კონტრდაზვერვის დეპარტამენტი
ტენდერის გამოცხადების თარიღი	05.12.2013 12:30
წინადადებების მიღება იწყება	10.12.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	12.12.2013 15:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	1602 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	03100000-სოფლის მეურნეობისა და ბაღჩეული პროდუქტები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	03100000-სოფლის მეურნეობისა და ბაღჩეული პროდუქტები
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	რაოდენობა იხილეთ ტექნიკურ დოკუმენტაციაში
მოწოდების ვადა	2014 წლის 1 იანვრიდან 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	10 ლარი
გარანტიის ოდენობა	16 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130026735

შემსყიდველი	საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია
ტენდერის გამოცხადების თარიღი	05.12.2013 12:33
წინადადებების მიღება იწყება	09.12.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	11.12.2013 12:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	60000 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გარეშე
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	92600000-სპორტული მომსახურებები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	92622000-სპორტული ღონისძიებების ორგანიზება
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხ. ტექნიკური დოკუმენტაცია.
მოწოდების ვადა	იხ. ტექნიკური დოკუმენტაცია.
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	300 ლარი
გარანტიის ოდენობა	600 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130026720

შემსყიდველი	შსს კონტრდაზვერვის დეპარტამენტი
ტენდერის გამოცხადების თარიღი	05.12.2013 12:30
წინადადებების მიღება იწყება	10.12.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	12.12.2013 12:30
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	5258 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	15500000-რძის პროდუქტები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	15500000-რძის პროდუქტები
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	რაოდენობა იხილეთ ტექნიკურ დოკუმენტაციაში
მოწოდების ვადა	2014 წლის 1 იანვრიდან 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	50 ლარი
გარანტიის ოდენობა	53 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130026713

შემსყიდველი	ქედის მუნიციპალიტეტი
ტენდერის გამოცხადების თარიღი	05.12.2013 11:49
წინადადებების მიღება იწყება	09.12.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	11.12.2013 12:30
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	12800 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	79900000-სხვადასხვა კომერციული მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	79952100-კულტურული ღონისძიებების ორგანიზება
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხილეთ ტექნიკური დოკუმენტაცია
მოწოდების ვადა	ხელშეკრულების დადებიდან 2013 წლის 31 დეკემბრამდე
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	130 ლარი
გარანტიის ოდენობა	128 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130026721

შემსყიდველი	შსს კონტრდაზვერვის დეპარტამენტი
ტენდერის გამოცხადების თარიღი	05.12.2013 12:30
წინადადებების მიღება იწყება	10.12.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	12.12.2013 13:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	564 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	15400000-ცხოველური ან მცენარეული ზეთები და ცხიმები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	15400000-ცხოველური ან მცენარეული ზეთები და ცხიმები
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	რაოდენობა იხილეთ ტექნიკურ დოკუმენტაციაში
მოწოდების ვადა	2014 წლის 1 იანვრიდან 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	5 ლარი
გარანტიის ოდენობა	6 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130026834

შემსყიდველი	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
ტენდერის გამოცხადების თარიღი	05.12.2013 19:58
წინადადებების მიღება იწყება	10.12.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	12.12.2013 12:30
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	11500 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	48700000-პროგრამული პაკეტების მომსახურე პროგრამები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	48780000-სისტემის, მონაცემთა შენახვისა და შინაარსის მართვის პროგრამული პაკეტები
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	5
მოწოდების ვადა	ხელშეკრულების გაფორმებიდან შვიდი დღის ვადაში
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	115 ლარი
გარანტიის ოდენობა	115 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130026832

შემსყიდველი	შ.პ.ს. ,,თბილსერვის ჯგუფი”
ტენდერის გამოცხადების თარიღი	05.12.2013 19:18
წინადადებების მიღება იწყება	22.12.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	27.12.2013 16:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	180000 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	50100000-სატრანსპორტო საშუალებებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	50112000-მანქანების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება, 50112100-მანქანის შეკეთება, 50116100-ელექტროსისტემის შეკეთება, 50116400-გადაცემათა კოლოფების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება, 50116600-სტარტერების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება . . .
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	სხვადასხვა, იხილეთ სატენდერო დოკუმენტაცია
მოწოდების ვადა	ხელშეკრულების გაფორმებიდან 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლი
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	1800 ლარი
გარანტიის ოდენობა	1800 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

სერგეიუს იოვაიშა: „ერთხელაც გაისვრით ქართველები!"

გიგა გურასაშვილი

იოვაიშა გაბრიჩიძეს სტუმრობს

„საქართველოს ნაკრები ევროპის საკალათბურთო ჩემპიონატზე ერთ-ერთი იყო, რომელიც სანახაობრივ კალათბურთს თამაშობდა, ისეთს, გულშემატკივარს რომ მოსწონს. ქართველები უფრო მეტსაც შეძლებდით, დიდი სათადარიგო სკამი რომ გქონოდათ.

ევროპის ჩემპიონატზე გაცილებით დიდი დატვირთვაა - ზედიზედ ჩასატარებელი თამაშები, რაც ნებისმიერ კალათბურთელს ღლის. ვიქტორ სანიკიძეს რომ ვუყურებდი, ვხედავდი, რომ ბოლოს გადაღლილი იყო. ამიტომ საჭიროა გრძელი სათადარიგო სკამი, რომელიც როტაციის საშუალებას იძლევა. რასაც სლოვენიაში აკეთებდით და როგორც თამაშობდით, ეს ნამდვილი თავდადება იყო. ვხედავდი, როგორ იბრძოდა საქართველოს ნაკრები.

დარწმუნებული ვარ, ერთხელაც გაისვრით. თქვენ ამის დიდი პოტენციალი გაქვთ.

რატომაა ლიტვური კალათბურთი წარმატებული? როდესაც მომავალი თაობა ხედავს, რომ კალათბურთში წარმატებები გვაქვს, მასაც სურს სპორტის ამ სახეობას გაჰყვეს და იყოს ამ წარმატებული გუნდის ნაწილი. ამით იმის თქმა მინდა, რომ ჩვენთან ბევრი თამაშობს კალათბურთს, რაც ძლიერი ნაკრების საწინდარია".

ეს სიტყვები საქართველოში სტუმრად მყოფ კალათბურთის ლიტველ ლეგენდას სერგეიუს იოვაიშას ეკუთვნის, რომელიც კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატს, მიხეილ გაბრიჩიძეს სტუმრობს.

ლიტველმა სტუმარმა ჩვენზე - ქართულ კალათბურთზე, ლიტვურზე და, საერთოდ, ევროპულ კალათბურთზე ბევრი საინტერესო რამ თქვა, რასაც შემდეგ ნომერში ვრცელი ინტერვიუს სახით გაეცნობით. მანამდე კი სერგეიუს იოვაიშას მიღწევები გავიხსენოთ.

სერგეიუს იოვაიშა

სერგეიუს იოვაიშამ კარიერის დიდი ნაწილი კაუნასის „ჟალგირისში" (1973-1989) გაატარა. 1989-1995 წლებში იყო „ჰაგენის" (გერმანია) წევრი და ორჯერ შევიდა გერმანიის ჩემპიონატის სიმბოლურ ხუთეულში.

ლიტვაში კალათბურთის საუკეთესო, ევროპული კალათბურთის ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი გენერაციის წარმომადგენელი, სერგეიუს იოვაიშა იყო ლეგენდა, რომელმაც დიდი როლი შეასრულა თავის ქვეყანაში კალათბურთის განვითარებაში.

იოვაიშამ მონაწილეობა მიიღო ლიტვური კალათბურთისთვის მნიშვნელოვან, 1992 წლის ოლიმპიურ თამაშებში, სადაც არვიდას საბონისის, რიმას კურტინაიტისის, შარუნას მარჩულიონისის, ვალდემარას ხომიჩუსის, არტურას კარნიშოვასის, იოვაიშას და სხვა ლეგენდების ნაკრები გავიდა მესამე ადგილზე. ლიტვამ ნახევარფინალში წააგო კალათბურთის ისტორიაში უდიდეს ნაკრებთან, ლარი ბერდის, მეჯიქ ჯონსონის და მაიკლ ჯორდანის „დრიმ თიმთან".

იოვაიშა აქტიურად იყო ჩართული საკალათბურთო პროცესებში.

ლეგენდა, რომელსაც ყოველთვის კარგი ურთიერთობა ჰქონდა ქართულ კალათბურთთან, დღესაც ჩვენი კალათბურთის დიდი გულშემატკივარია.

მიღწევები

ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს ორგზის პრიზიორი საბჭოთა კავშირისა (1980) და ლიტვის ნაკრების (1992) შემადგენლობაში.

საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობა: სტანისლავ ერიომინი, ვლადიმირ ჟიგილი, ალექსანდრ ბელოსტენი, სერგეიუს იოვაიშა, ანატოლი მიშკინი, ვლადიმირ ტკაჩენკო, სერგეი ბელოვი, ნიკოლოზ დერიუგინი, ანდრეი ლოპატოვი, ალექსანდრ სალნიკოვი, სერგეი ტარაკანოვი, ვალერი მილოსერდოვი.

ლიტვის ნაკრების შემადგენლობა: ვალდემარას ხომიჩუსი, ალვიდას პაზდრაზდისი, არუნას ვისოცკასი, დარიუს დიმავიჩუსი, რომანას ბრაზდაუსკისი, გინტარას კრაპიკასი, რიმას კურტინაიტისი, არვიდას საბონისი, არტურას კარნიშოვასი, შარუნას მარჩულიონისი, გინტარას ეინიკისი, სერგეიუს იოვაიშა.

მსოფლიოს ჩემპიონი (1982) საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში.

საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობა: სტანისლავ ერიომინი, ანატოლი მიშკინი, ანდრეი ლოპატოვი, სერგეი ტარაკანოვი, ალექსანდრ ბელოსტენი, ვლადიმირ ტკაჩენკო, სერგეიუს იოვაიშა, ვალდემარას ხომიჩუსი, არვიდას საბონისი, ვალდის ვალტერსი, ნიკოლოზ დერიუგინი, ჰეინო ენდენი.

მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლის მფლობელი (1978) საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში.

ევროპის ორგზის (1981, 1985) ჩემპიონი საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში.

1981 წლის ნაკრები: ვალდის ვალტერსი, ანატოლი მიშკინი, ნიკოლაი ფესენკო, გენადი კაპუსტინი, ალექსანდრ სალნიკოვი, ვლადიმირ ტკაჩენკო, სერგეიუს იოვაიშა, ალექსანდრ ბელოსტენი, სტანისლას ერიომინი, სერგეი ტარაკანოვი, ანდრეი ლოპატოვი, ნიკოლოზ დერიუგინი.

1985 წლის ნაკრები: არვიდას საბონისი, ვალდის ვალტერსი, ანდრეი ლოპატოვი, ჰეინო ენდენი, ვალდემარას ხომიჩუსი, ალექსანდრ ვოლკოვი, ვლადიმირ ტკაჩენკო, ვალერი ტიხონენკო, ალექსანდრ ბელოსტენი, სერგეიუს იოვაიშა, სერგეი ტარაკანოვი, რიმას კურტინაიტისი.

ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის (1987) და ბრინჯაოს (1983) მედლის მფლობელი საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის სამგზის (1985-87) ჩემპიონი, ვერცხლის მედლის (1980) და ბრინჯაოს (1978) მედლის მფლობელი კაუნასის „ჟალგირისის" შემადგენლობაში.

სანაძეს გმირობამდე ერთი სროლა დააკლდა



დუდა სანაძეს შეეძლო მატჩის გმირი გამხდარიყო, მაგრამ საფინალო სირენის თანხლებით ნასროლი მისი სამქულიანი არ ჩავარდა და „სან დიეგო ტორეროსი" თანაქალაქელ „სან დიეგო სტეიტთან" ერთი ქულის სხვაობით - 64:65 დამარცხდა. მიუხედავად იმისა, რომ სანაძემ გადამწყვეტი სროლა ააცილა, მასზე და მთლიანად გუნდზე „ტორეროსის" მწვრთნელს ბილ გრირს აუგი არ დასცდენია. პირიქით, მწვრთნელი კმაყოფილი იყო: „ჩვენ ვიბრძოლეთ ბოლომდე და მოვიპოვეთ გამარჯვების რეალური შანსი. ბოლო მომენტში ჩვენმა გუნდმა ყველაფერი ზუსტად გააკეთა. მხოლოდ იმაში არ გაგვიმართლა, რომ დუდას ნასროლი არ ჩავარდა. ჩვენი გუნდი სწორ გზაზე დგას და ბოლომდე ასრულებს იმას, რასაც წუთშესვენებებზე ვგეგმავთ. ბურთი ხან ჩავარდება, ხან - არა".

არადა, „ტორეროსის" მოთამაშეებმა თითქმის შეუძლებელი შეძლეს და გამარჯვების მომპოვებელი სროლის შესრულების უფლება მოიპოვეს. ბოლო 12 წამში ორივე გუნდმა 4-4 საჯარიმო ჩააგდო. აქედან დუდა სანაძის ანგარიშზე საფინალო სირენამდე 7 წამით ადრე ჩაგდებული 2 სროლაა, რის შემდეგაც სხვაობა 62:63 შემცირდა. ამას „სან დიეგო სტეიტის" ლიდერის ქსავიერ თემზის 2 საჯარიმო მოჰყვა და როცა კრისტოფერ ანდერსონმა ჩამორჩენა ისევ 1 ქულამდე შეამცირა, ბურთი „სტეიტის" იყო და მატჩის დასრულებამდე 4 წამი რჩებოდა.

სწორედ ამ დროს მოხდა ის, რომ სანაძის გუნდმა მეტოქეს ბურთი ჩაუჭრა და გადამწყვეტი სროლის პატივი ქართველს ერგო, თუმცა... სანაძემ ტრადიციულად სასტარტო ხუთეულში ითამაშა და 32 წუთში 12 ქულა, 6 მოხსნა და 2 პასი მოაგროვა. ქართველმა უკანახაზელმა 5-დან 2 ორქულიანი, 5-დან 2 სამიანი და 4-დან 2 საჯარიმო ჩააგდო.

„სან დიეგო" ტორეროსს 7 მოგება და 3 მარცხი აქვს და „ვესტ ქოსთის" დივიზიონში მე-6 ადგილზეა. თავისი დივიზიონის გუნდებთან შეხვედრები „სან დიეგოს" 28 დეკემბერს დაეწყება. მომდევნო მატჩი სანაძის გუნდს 10 დეკემბერს ელის „პასიფიკასთან".

ქართველ მოცურავეთა კვარტეტი ევროპის ჩემპიონატზე გაცურავს

გიგა გურასაშვილი

საქართველოს მოცურავეთა ნაკრები ჰერნინგის (დანია, 12-15 დეკემბერი) პატარა წყლის (25 მ.) ევროპის მე-17 ჩემპიონატისთვის ემზადება.

ევროპულ წყალში საქართველო ოთხი მოცურავით (ირაკლი ბოლქვაძე, ირაკლი რევიშვილი, თეიმურაზ კობახიძე, დავით სიხარულიძე) იქნება წარმოდგენილი.

ზურაბ ხომასურიძის შეგირდებიდან ირაკლი ბოლქვაძე ბრასში 100 და 200, ხოლო კომპლექსურში 200 და 400 მეტრზე მოსინჯავს ძალას.

ირაკლი რევიშვილი თავისუფალში 100, 200 და 400 გაცურავს, დავით სიხარულიძე იმავე დისციპლინაში 50, 100 200 მეტრზე გამოვა, ხოლო თეიმურაზ კობახიძე თავისუფალში 50 და 100 და ბატერფლაით 50, 100 და 200 შეეცდება წარმატებას.

საქართველოს ნაკრები, პირველად ბოლო ხანებში, დავიწყებულ ესტაფეტაშიც იასპარეზებს - ქართველთა კვარტეტი 4X50 თავისუფალში გაცურავს.

ნაკრების მთავარი მწვრთნელის, ზურაბ ხომასურიძის თქმით, ბოლქვაძე, რევიშვილი და კობახიძე ევროპის ჩემპიონატისთვის თბილისში ემზადებოდნენ. ერთადერთი გამონაკლისია სიხარულიძე, რომელიც ამერიკაშია და იქიდან შეუერთდება თანაგუნდელებს დანიაში. რაც შეეხება შესაძლო შედეგებს, ხომასურიძის პროგნოზით, თითოეულ მათგანს შეუძლია პირადი შედეგის გაუმჯობესება, დანარჩენი კი იქ გამოჩნდება.

მოცურავეთა ნაკრები დანიაში 10 დეკემბერს გაემგზავრება.

მუნდიალის წილისყრა საზეიმოდ შედგა

პირველი გვერდიდან

მუნდიალი კი 12 ივნისს მასპინძელ ბრაზილიასა და ხორვატიიშ შეხვედრით გაიხსნება.

დანარჩენი გუნდებიდან შედარებით მეტ ინტერესს D და G ჯგუფები ინვევენ. პირველ შემთხვევაში, ერთმანეთს იტალია და ინგლისი შეხვდებიან, ხოლო მეორეში - გერმანია და პორტუგალია.

...წილისყრის შედეგად მსოფლიოს 32 უძლიერესი ნაკრები 8 ოთხგუნდიან ჯგუფში განაწილდა.

A ჯგუფი
ბრაზილია
ხორვატია
მექსიკა
კამერუნი

B ჯგუფი
ესპანეთი
ჰოლანდია
ჩილე
ავსტრალია

C ჯგუფი
კოლუმბია
საბერძნეთი
კოტ დ'ივუარი
იაპონია

D ჯგუფი
ურუგვაი
კოსტა-რიკა
ინგლისი
იტალია

E ჯგუფი
შვეიცარია
ეკვადორი
საფრანგეთი
ჰონდურასი

F ჯგუფი
არგენტინა
ბოსნია
ირანი
ნიგერია

G ჯგუფი
გერმანია
პორტუგალია
განა
აშშ

H ჯგუფი
ბელგია
რუსეთი
ალჟირი
ს.კორეა

დუშან უჭრინი მალხაზ ჟვანიამ შეცვალა

გრიგოლ ხოშტარია

თბილისის „დინამომ“ „დინამო არენაზე“ ლანჩხუთის „გურიას“ უმასპინძლა და 3:1 დაამარცხა. მატჩის დასრულების შემდეგ კი ცნობილი გახდა, რომ დუშან უჭრინი მწვრთნელის რანგში უკანასკნელად გაუძღვა გუნდს. ჩეხი სამშობლოში ბრუნდება, სადაც „პლზენს“ ჩაუდგება სათავეში. გუშინ „დინამო არენის“ საპრესკონფერენციო დარბაზში კლუბის პრეზიდენტი რომან ფიფია, გუნდის ყოფილი და მომავალი მთავარი მწვრთნელები დუშან უჭრინი და მალხაზ ჟვანია ჟურნალისტებს შეხვდნენ.

რომან ფიფია: „დუშან უჭრინი ამთავრებს თავის მოღვაწეობას „დინამო თბილისში“ და სამშობლოში მიემგზავრება. ხელშეკრულების თანახმად, ჩვენ კიდევ ნახევარი წელი უნდა გვემუშავა ერთად, მაგრამ, იმის გამო, რომ სამშობლოში ბრუნდება, სადაც სათავეში უნდა ჩაუდგეს საკმაოდ ძლიერ გუნდს, რა თქმა უნდა, მას ამის შესაძლებლობა მივეცით, - ამბობს „დინამოს“ პრეზიდენტი რომან ფიფია. - მადლობას ვუხდი დუშანს იმ მონდომებისა და იმ სამუშაოსთვის, რაც მან „დინამო თბილისისთვის“ გასწია და წარმატებებს ვუსურვებ მომავალში.

აქვე გაცნობებთ, რომ „დინამო თბილისის“ მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებელი მალხაზ ჟვანია იქნება. მან ყველას დაუმტკიცა, რომ ღირსეული მწვრთნელია, აქვს თავისი გამორჩეული ხელწერა. „დინამო 2“-ში მისი მოსვლიდან გუნდმა დამაჯერებლად დაიწყო მოგებები“.

დუშან უჭრინი: „მადლობას ვუხდი „დინამო თბილისს“ ყველაფრისთვის, რაც ამ გუნდმა მომცა. ამ სეზონში გამარჯვებას და თასის მოპოვებას ვუსურვებ, ასევე დიდ წარმატებებს მომავალში. „დინამო“ დიდი გუნდია და მას ევროპაში კარგად იცნობენ. წარმატებას ვუსურვებ ახალ მწვრთნელს და ყველაფერს საუკეთესოს მომავალში. მადლობას ვუხდი რომან ფიფიას. მის გარეშე „დინამო“ ჩემპიონი ვერ გახდებოდა. გუნდში ყველაფერი კეთდება არათუ ასი პროცენტით, არამედ უფრო მეტით. ცხოვრებაში ყოველთვის დგება ახალი ნაბიჯის გადადგმის დრო. დიდი მადლობა“.

მალხაზ ჟვანია: „პირველ რიგში დიდი მადლობა ბატონ რომანს ნდობისთვის. მზად ვარ, „დინამოს“ ვემსახურო მანამ, სანამ დავჭირდები. ვეცდებით, დარჩენილ თამაშებში გუნდი მაქსიმალური კონცენტრაციით გავიდეს და სასურველი შედეგები აჩვენოს“.